ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 27 ოქტომბერი 1995 № 70 (208) ფასი 30 თეთრი



## დჰაულაგირზე ავსულვართ!

ქართველებმა საქართველოს დროშა დედამიწის ერთ-ერთ ცას მიბჯენილ ადგილზე, 8267 მეტრის სიმაღლეზეააფრიალეს. ეს მოხდა ნეპალის ცენტრალურ ნაწილში, ჰიმალაიზე მდებარე დედამიწის 14-დან ერთ-ერთ რვაათასიან მწვერვალ დჰაულაგირზე.

როგორც აგვისტოს ბოლოს ვიუწყებოდით, ამ მწვერვალისკენ გზას გაუდგა ქართველ მთამსვლელთა პირველი ჰიმალაური ექსპედიცია, რომლის ხუთკაციანი მოიერიშე ჯგუფის შემადგენლობა იმთავითვე განსაზღვრული იყო. ესენი იყვნენ: გია თორთლაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), აფი გიგანი, ბიძინა გუჯაბიძე, გელა ოთარაშვილი და დავით ჩანტლაძე. მათ მართლაც ყველამ ერთად მიიტანა იერიში დედამიწის სიმაღლით მეექვსე მწვერვალზე, მაგრამ, სამწუხაროდ, დავით ჩანტლაძემ ფეხი იტკინა და უკან დაბრუნდა, დანარჩენებმა მიზანს მიაღწიეს. მწვერვალზე ყველანი ჟანგბადის ბალონების გარეშე ავიდნენ.

დჰაულაგირზე და მასზე ასვლების ისტორიაზე საკმაოდ ვისაუბრეთ, რასაც გაზეთის თითქმის ოთხი გვერდი დავუთმეთ მაშინ, როცა ჩვენი მთამსვლელები მწვერვალს უტევდნენ, ამიტომ ამჯერად ამაზე აღარ შევჩერდებით. მხოლოდ ერთს შეგახსენებთ: შარშანწინ თბილისელი გია თორთლაძე და ქუთაისელი მერაბ ნემსიწვერიძე რუსეთ-ინგლისის ექსპედიციის წევრებთან ერთად ცდილობდნენ დჰაულაგირზე მანამდე უვალ, ჩრდილოეთის მხრიდან ცენტრში ალმართული კედლიდან ასვლას. მაშინ ნემსიწვერიძეს ყინულის ნამსხვრევი მოხვდა და გზის გაგრძელება ვეღარ შესძლო. ამის გამო თორთლაძეც იძულებული გახდა მასთან ერთად დაშვებულიყო, დანარჩენებმა კი მიზანს მიაღწიეს.

მანამდე, ამ ორმა მთამსვლელმა ალპინიზმისა და მეკლდეურობის ევრაზიის ასოციაციის მიერ მოწყობილი ექსპედიციის წევრებთან ერთად 1992 წელს შიშა-პანგმა (8157 მ.) დალაშქრა.

პირველი ქართველი, ვინც ასეთი ბუმბერაზიდან გადმოიხედა, რომან გიუტაშვილი გახლდათ. იგი 1991 წელს სანკტ-პეტერბურგის, ყაზახეთის, უკრაინისა და აშშ-ის მთამსვლელთა ექსპედიციის წევრი იყო და დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ჯომოლუნგმაზე ამერიკელ დანიელ მაზურთან ერთად ავიდა.

და აი, ახლა დჰაულაგირი! ეს უკვე სულ სხვა მნიშვნელობის წარმატებაა, რაკიღა ქართველები პირველი ქართული ექსპედიციის წევრები იყვნენ!

საქართველოს მთამსვლელების ლაშქრობის დღეებში დჰაულაგირზე ბულგარეთ-ბელარუსის ალპინისტებიც იმავე კლასიკური, პირველამსვლელთა მარშრუტით გეგმავდნენ ასვლას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უცნობია, სამივე ქვეყნის წარმომადგენლები ერთად ავიდნენ მწვერვალზე თუ არა, ან საერთოდ როგორ დამთავრდა მათი იერიშები, ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ახლა ქართველები უკვე ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში არიან, თავს ყველანი, დავით ჩანტლაძის ჩათვლით, კარგად გრძნობენ და ელიან ხელსაყრელ რეისს, რათა სამშობლოში დაბრუნდნენ. სავარაუდოდ ისინი 31 ოქტომბერს ან 1 ნოემბერს უნდა გადმოფრინდნენ და იმედია თავიანთი ასვლის შესახებ თავადვე გვიამბობენ დაწვრილებით.

ავთანდილ გურასაშვილი



## ბოტკინი დადის საქართველოში

ვერაგმა სენმა საქართველოს ნაკრებს ბოლო ხანს ოთხი ფეხბურთელი გამოაკლო: ქემხაძის, რევიშვილისა და ინალიშვილის ბედი შელიამაც გაიზიარა.

ინტერვიუ სიყვითლეშეყრილ მურთაზთან — მეორე გვერდზე

## კალათბურთი

**საქართველოს ჩემპიონატი**

ვერის ბაღი. I ჯგუფი. 26 ოქტომბერი

**თორსი — მერანი 86:75**

თორსი: ცაგარეიშვილი (8), ბოლქვაძე (22), გონაშვილი (6), ორჯონიკიძე (8), მიქაძე (16), ხარაძე (26)

მერანი: ოქმელაშვილი, ბარბაქაძე (16), ი.ბერიშვილი (17), ჩხიკვაძე (2), დ.ბერიშვილი (18), ქურასბედიანი (7), კობიძე (15)

**ვითა — შევარდენი 114:50**

ვითა: ვაშაკიძე (8), ბაქრაძე (5), კობეშავიძე (13), ტურაშვილი (9), სანაძე (7), ბარამიძე (2), შენგელია (13), ქარაბაკი (11), დადიანი (39), ბოისა (7)

შევარდენი: ისაკაძე (12), მაჭავარიანი (7), ფიოდოროვი (2), დავარაშვილი (2), ინაძე (8), ქართველიშვილი, მოისწრაფიშვილი, ლვინეფაძე (4), თაბუაშვილი (15)



## ჩემპიონობა — «აიას»

ერთმა, „გუმარ" — „თბილისის" გუშინწინდელმა მატჩმა ერთბაშად ორი ტიტულოსანი გაგვარკვევინა: მართალია, შარშანდელმა ჩემპიონმა „თბილისმა" დამსახურებული გამარჯვებით თავისი ტიტული ქუთაისის „აიას" გადააბარა, ვინაიდან უახლოესი მდევარი საბოლოოდ ჩამოაცილა, მაგრამ არც თავად ჟარჩენილა ხელცარიელი: მეოთხე ცდით, როგორც იქნა, დაეუფლა ჩვენი გაზეთის მიერ დაწესებულ გარდამავალ სინს, სეზონის ნებისმიერ მონაკვეთში უტყუარად რომ წარმოაჩენს ამერის უძლიერეს გუნდს.

სეზონი კი მაინც გრძელდება. დიდი ოთხეულის ბოლო, მეოთხე წრე ცხრილში ბევრს ვეღარაფერს შეცვლის, მაგრამ მაინც უნდა გაიმართოს თუნდაც იმიტომ, რომ ნაკრებს ნოემბერში ორი ევროპული მატჩი ელის. გარდა ამისა, სამშაბათს, 31 ოქტომბერს, კვლავ „გუმარსა" და „თბილისს" უწევთ შეხვედრა. საფიქრებელია, რომ ჩემპიონობის მოპოვების შანსდაკარგული „გუმარი" უთუოდ ეცდება სინის სხვათა ტყვეობიდან დახსნას, რაც კიდევ ერთ დიდ მატჩს გვიქადის.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

გია ახალაძის ფოტოები

## სინი — «თბილისს»



## ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფი

მე-12 ტური, 26 ოქტომბერი

**ეგრისი 7:1 დურუჯი**

**სიონი 3:0 გურია**

**დინამო 7:1 კახეთი**

იხილეთ მეორე გვერდი

**სამტრედია 4:0 ივერია**

**კოლხეთი 5:1 შევარდენი**

**ტორპედო 2:0 მეტალურგი**

დღეს ითამაშებენ: ბათუმი — მარგვეთი, ზუგდიდი — დილა

გამოტოვებული მატჩი

**ბათუმი 5:0 ზუგდიდი**

წინა ტურში დილას კოლხეთთან ჩაეთვალა წაგება 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 11 | 9 | 0 | 2 | 35-10 | 27 |
| სამტრედია | 10 | 8 | 2 | 0 | 34-11 | 26 |
| მეტალურგი | 12 | 8 | 0 | 4 | 24-14 | 24 |
| დინამო | 10 | 7 | 2 | 1 | 28-6 | 23 |
| კოლხეთი | 11 | 7 | 2 | 2 | 26-13 | 23 |
| ტორპედო | 11 | 6 | 3 | 2 | 26-12 | 21 |
| დილა | 11 | 6 | 2 | 3 | 19-13 | 20 |
| ბათუმი | 10 | 5 | 3 | 2 | 20-9 | 18 |
| შევარდენი | 12 | 6 | 0 | 6 | 20-23 | 18 |
| კახეთი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-23 | 14 |
| ეგრისი | 12 | 3 | 2 | 7 | 18-25 | 11 |
| ივერია | 12 | 3 | 1 | 8 | 8-23 | 10 |
| ზუგდიდი | 10 | 3 | 0 | 7 | 19-32 | 9 |
| სიონი | 12 | 3 | 0 | 9 | 12-26 | 9 |
| გურია | 12 | 2 | 0 | 10 | 9-30 | 6 |
| დურუჯი | 12 | 0 | 1 | 11 | 2-40 | 1 |

# რა იყო ეს?!

XII ტური, 26 ოქტომბერი

**დინამო 7:1 კახეთი**

დინამო: ჭანტურია, კალაძე, კობიაშვილი, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი (ხორხელი 61), ცქიტიშვილი, ჯამარაული (დემეტრაძე 70), კერძევაძე, ანჩაბაძე, იაშვილი (ხომერიკი 59)

კახეთი: ჩიქვინიძე, შონია, კაციტაძე, სანადირაძე, ნაკუდაიძე, გ. ლობჟანიძე, ათუაშვილი, ჯაშიაშვილი, სოლოლაშვილი, ბაბულაიძე, გაგნაშვილი

1:0 გოგიჩაიშვილი (3), 1:1 კაციტაძე (8), 2:1 გოგიჩაიშვილი (11 პ), 3:1 იაშვილი (12), 4:1 ცქიტიშვილი (14), 5:1 გოგიჩაიშვილი (21), 6:1 იაშვილი (42), 7:1 ჯამარაული (70)

გაფრთხილება: ჩიქვინიძე, ხომერიკი

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

ყიფიანის ნაცვლად ფეოლა (ქართულ ფილმის პერსონაჟს ვგულისხმობთ) რომ ყოფილიყო თბილისელთა მწვრთნელი, თამაშის შემდეგ დინამოელებს მხეცებად მონათლავდა. აბა, საქმეა, სტუმრად ჩამო-



ჰეთ-თრიქის ავტორი კახი გოგიჩაიშვილი

სულთა ასე გამწარება? თუმცა, მასპინძლებს გაცილებით მეტის გატანაც შეეძლოთ.

თამაში კი ისე დაიწყო, მაყურებელს საინტერესო გაგრძელებას პირდებოდა, მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. თავიდანვე ვიტყვით, რომ თბილისელებს გვარიანად დაეხმარა თელაველთა ცენტრალური მცველი გენდი სანადირაძე, რომელმაც ორი, პირველი და ბოლო ბურთები გაიტანა საკუთარ კარში. ჯერ ეფექტურად, მაკრატელათი სურდა ბურთის მოგერიება, მაგრამ აეჭრა, მერე კი ჯამარაულის დარტყმული ისეთი ლამაზი თაურით გადაგზავნა საკუთარ კარში, მაყურებელს ეჭვი შეეპარა, ეს კაცი იმათიაო თუ ამათიო.

ყიფიანმა ამ მატჩში მცირე ექსპერიმენტი ჩაატარა — გივი გიდავა მარჯვენა მცველად გამოიყვანა, როინ კერძევაძე კი ოდნავ უკან დახია, ასე რომ, დინამოელებმა პრაქტიკულად ერთი თავდამსხმელით — იაშვილით ითამაშეს.

თბილისელებმა სტუმრებს პირველსავე ტაიმში მოუთავეს ხელი. ხაშურში მოულოდნელი ფრეს შემდეგ მათ, როგორც ჩანს, ქომაგების თვალში რეაბილიტაცია სურდათ. გოგიჩაიგვილის ჰეთ-თრიკის, იაშვილის ორი, ცქიტიშვილის, ჯამარაულის გოლების და უილბლო სანადირაძის დახმარებით ეს იოლად შეძლეს.

მეორე ტაიმი კი, ერთმა ღმერთმა უწყის, რა იყო, ყოველ შემთხვევაში, ამას ფეხბურთი არ ეთქმოდა. ეტყობა, დინამოელებს „შერცხვათ" გოლების გატანა. მარტო ხომერიკმა ხუთი ურეალურესი მომენტი გააცუდა. არ შეიძლება, არ აღინიშნოს თელაველთა მეკარის ჩიქვინიძის თავგამოდებული თამაში. შეხვედრა რომ 20:1 არ დასრულდა, მისი დამსახურებაა. თუმცა იგი ზოგჯერ უხეშობასაც არ ერიდებოდა. ამ დროს გაოცებას იწვევდა შოთა ხანიაშვილის მოქმედება — მან სამჯერ ისეთი რამ აპატია ჩიკვინიძეს, რაზეც წესით წითელი ბარათი უნდა ამოეღო. ერთხელ ჩიქვინიძემ ხომერიკს წიხლი ჩაარტყა და რატომღაც ხომერიკიც ყვითელით დაისაჯა, ორჯერ კი საჯარიმო მოედნის გარეთ ბურთი ხელით დაიჭირა, როდესაც თბილისელები პირისპირ იყვნენ დარჩენილები. მოკლედ, ბრაზილიის ნაკრების ფორმიანმა თელაველებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კიდევ ერთხელ დაფიქრდები, ვის სჭირდება ამდენი გუნდი საქართველოს ჩემპიონატის I ჯგუფში?

მერაბ მამულაშვილი

# რუსებს სხვების ჩემპიონობა არ სურთ

**ბედი არ გინდა?! „სპარტაკი-ალანიას" გაჩემპიონებაში ლომის წილი მურთაზ შელიამ დაიდო. არადა, ვლდიკავკაზელთა ცესკასთან შეხვედრას, რომელშიც ოფიციალურად გაფორმდა კავკასიელთა ჩემპიონობა, მურთაზი თბილისში ლოგინად ჩავარდნილი ტელევიზორში უყურებდა. ბულგარელებთან შეხვედრის წინ გამოთქმული ეჭვი გამართლდა — მას ბოტკინი დაუდასტურდა.**

— მურთაზ, გითხრეს ექიმებმა, რამ გამოიწვიაო ბოტკინი?

— ვერაფერი გავიგე. კიდევ კარგი, იოლი — „ა" ფორმით ვარ დაავადებული. თურმე ბულგარელებთანაც ბოტკინიანს მითამაშია. ისე, კი ვგრძნობდი, კარგად რომ ვერ ვიყავი, მოედანზე მოთენთილი და დასუსტებული გამოვედი. თამაშის შემდეგ მეგონა, ეს ყველაფერი დროებითი იყო, მაგრამ ვლადიკავკაზში ჩასული უარესად გავხდი. ვკვდებოდი, ისეთ დღეში ჩავვარდი. გაზაევს რომ ვუთხარი ჩემი ამბავი, თბილისში გამომიშვა. ჩვენებმა ჩემპიონობა რომ მოიპოვეს, ამას თბილისში მწოლიარემ ვუყურე ტელევიზორში. ახლა კიდევ რა მიჭირს. ხუთი დღეა სისხლის გადასხმებს მიკეთებენ და ოდნავ გამოვკეთდი.

— ბულგარელბთან თუ ასე ცუდათ იყავი, როგორლა ითამაშე? შეუძლოდ მყოფისა არაფერი გეტყობოდა...

— შეიძლება არ იცოდეთ, მაგრამ თამაშამდე ორი დღე არ მივარჯიშია და ალბათ არც ვითამაშებდი, რომ არა ნაკრების ინტერესები. ცხადაძე, ქეცბაია, რევიშვილი, და ინალიშვილი გვაკლდნენ და ისედაც შესუსტებული შემადგენლობა გამოვიყვანეთ. ვიფიქრე„ თუ არ მოვკვდი, ვითამაშებ-მეთქი. თუმცა, ჩემით უკმაყოფილო დავრჩი.

— კი მაგრამ, რა გჭირდა საუკმაყოფილო — მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყავი...

— მე ხომ ვიცი ჩემი შესაძლებლობები. ვგრძნობდი, ბოლომდე ვერ დავიხარჯე.

— ბოტკინი რომ ხშირად ემართებათ ნარკომანებს, ცნობილი ამბავია. ფეხბურთელებს რაღა მოგივიდათ — ვინმეზე რომ უსიამოვნო ამბავს გაიგებ, ან ეგრეთ წოდებული პახი ანუ საზარდულის ტკივილია, ანაც ბოტკინი...

— რა სპეციალისტობა და მიხვედრა იმას უნდა, რომ ეს ნარკომანობის ბრალი არ არის — რომელი ნარკომანი ითამაშებს წლების მანძილზე სტაბილურად და ძლიერად. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენთან ბევრია ისეთი, ენა რომ ეფხანება. ჩემამდეც მოვიდა ასეთი ხმები. თუ რამეს მიაღწევ, იმაზე ფიქრობენ, რამენაირად მოგთხარონ და მიწასთან გაგასწორონ. ამის შემდეგ საქართველოში როგორლა ვითამაშო? ბოლოსდაბოლოს, ეს ხომ ელემენტარულია: ნარკომანები„ საერთოდ, ბოტკინის „ბ" ფორმით ავდდებიან, მე კი, ხომ გითხარით, „ა" ფორმა შემეყარა.

— შენს არყოფნაში „სპარტაკი" ჩემპიონი გახდა...

— უფრო ადრეც უნდა გავმხდარიყავით, თუმცა ჩვენივე ბრალია, აქამდე რომ მოგვიწია ლოდინმა. თორმეტქულიანი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გავანიავეთ. „კრილია სოვეტოვს", „ტორპედოს" და „სპარტაკს" შინ ვერ მოვუგეთ. მსაჯებიც იმათ ემხრობოდნენ.

— რუსული პრესა ხან ქვეტექსტებით, ხანაც პირდაპირ წერს — „სპარტაკი" თამაშების ჩაწყობით გახდა ჩემპიონიო...

— რაშია, იცი, საქმე? რუსეთში არავის ეპიტნავება პროვინციული გუნდის ჩემპიონობა. ჩვენზე ამდენს რომ ლაპარაკობენ, „ლოკომოტივზე" თვალებს ხუჭავენ. არადა, ამათზეც იგივეს ამბობენ და არა მხოლოდ ჭორის დონეზე. მოსკოველებს — „სპარტაკს", „ტორპედოს", ორჯერ „დინამოსა" და ცესკას პრინციპული შეხვედრები მოვუგეთ, ისინი კი ჩვენთან გარიგებას რატომ დაყაბულდებოდნენ? ამის შემდეგ არ ვიცი, ჩაწყობილ თამაშებს რას ეძახიან. უბრალოდ, „სპარტაკი" ძლიერი გუნდია და ჩემპიონობაც დამსახურებულად მოიპოვა.

— „ლოკომოტივთან" ორჯერ რომ წააგეთ, შეიძლება ამან გამოიწვია თქვენს ძალებში დაეჭვება...

— შეიძლება. მაგრამ წაგებისაგან ვინაა დაზღვეული. მოსკოველებთან ზუსტად იმ დროს დავმარცხდით, როდესაც პატარა ჩავარდნები გვქონდა და საერთოდ, ეჭვი კი არ ალაპარაკებთ — რუსეთში ჩვენ არავინ გვქომაგობდა. ამას ყველგან ვგრძნობდით. ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე ყველა კლუბი ოცნებობს და არ ურჩევნიათ, იქ მოსკოვის გუნდმა ითამაშოს. იქ ისეთი თამაშებია, რომ კლასსაც აიმაღლებ და, სხვა თუ არაფერი, მხოლოდ მონაწილეობისთვის ფინანსურადაც იხეირებ. აი, ეს არის მთავრი. ჩემპიონთა ლიგაში დიდი ფული ტრიალებს. რუსულ ფეხბურთის მაფიას კი ამ შემოსავლის დაკარგვა არ სურს. მოკლედ, ბრძოლა ჩემპიონობისთვის დიდი შემოსავლებისთვის ბრძოლაც არის. თუმცა, ასეა ყველა იმ ქვეყანაში„ რომელიც ჩემპიონთა ლიგაში გუნდს გამოიყვანს.

— თუ მთელი რუსეთი თქვენი ჩემპიონობის წინააღმდეგი იყო, როგორლა ვერ „ჩაგძირეს"? იქნებ პოლიტიკურმა ფაქტორმაც იქონია გავლენა — ოსეთი ხომ მუდამ იყო რუსეთის დასაყრდენი და შესაძლოა აშკარად ვერ შეგებრძოლენ?

— მე წმინდა სპორტული ფაქტორები ვიცი, „სპარტაკი" წელს რუსეთში საუკეთესო გუნდი იყო და ამაში ყველა დავარწმუნეთ. მართალია, თორმეტქულიანი უპირატესობა ბოლოსკენ სამ ქულამდე შემცირდა, მაგრამ „ლოკომოტივის" შინ „ურალმაშთან" წაგებამ ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. რუსებიც მიხვდნენ, რომ „ლოკომოტივი" საჩემპიონოდ არ გამოდგებოდა. ბოლოს და ბოლოს, ბრმების სკოლა ხომ არ იყო, მოსკოველებისათვის ათი ქულა დაეწერათ?

— მალე გოჩა ჯამარაულიც შემოგიერთდებათ. მასზე რას ამბობენ, დიდი იმედი აქვთ?

— რადგან გაზაევმა მიიწვია, ეტყობა, მისი სჯერა. ისე, ბევრს ლაპარაკობენ, გოჩა გუნდს გამოადგებაო. ვნახოთ, მეც ეს მინდა.

— ვითომ გაზაევი შემადგენლობიდან კასიმოვს ამოაგდებს?

— ეს ძნელი სათქმელია და მწვრთნელის გადასაწყვეტია.

— ყველაფერი კარგი და, ფეხზე როდის წამოდგები?

— ექიმებმა ოცდაორდღიანი წოლითი რეჟიმი და სამთვიანი მკაცრი დიეტა დამიწესეს. ვარჯიშს კი ოთხ-ხუთ თვეში თუ შევუდგები.

მერაბ მამულაშვილი

# თავგადასავლები გრძელდება

**თბილისის „დინამო", „ლოკომოტივი", „ავიატორი", ქუთაისის „ტორპედო", ლანჩხუთის „გურია", გურჯაანის „ალაზანი", ვენის „ვინერ შპორტკლუბი", ზალცბურგის „კაზინო", ბაქოს „ნეფთჩი", ტალინის „ფლორა" — აი, სრული სია იმ გუნდებისა, რომლებშიც ოთარ კორღალიძეს უთამაშია. ამ გუნდებში იგი გამოსულა ხუთი ქვეყნის ჩემპიონატში, ქართველთაგან პირველს გაუტანია ასი გოლი ეროვნულ ჩემპიონატებში, ქართველთაგან პირველი ლეგიონერია... 36 წლისას, ჩვენებურთაგან პირველს, შესთავაზეს უცხო ქვეყნის ნაკრების თავკაცობა. მოკლედ, ოთარ კორღალიძე ღირსეულად დაიკავებდა ადგილს საფეხბურთო გინესის წიგნში, ამგვარი რამ რომ არსებობდეს. ამიტომ ძალიან არ გამკვირვებია, როცა ოთარი ტალინის „ფლორაში" აღმოჩნდა, ლონდონში მყოფ ჩემს კოლეგას, ზურაბ მეძველიას კი ლამის თვალები გადმოსცვივდა, როცა „უორლდ სოკერში" ფლორელი კორღალიძის გვარი ამოიკითხა...**




ვალე იალმურიანი და ოთარ კორღალიძე

— ოთარ, როგორ მოხვდი ტალინში?

— მე და მერაბ ჟორდანია დიდი ხნის მეგობრები ვართ, მერაბი კი ევროპის საფეხბურთო წრეებში უკვე მიღებული კაცია. მისი მეგობარია ტალინის „ფლორას" პრეზიდენტი აივარ პოლაკი, ჰოდა, ასე აღმოვჩნდი მის გუნდში. პოლაკი ჯერ 33 წლისაა, მაგრამ უკვე შეძლებული ბიზნესმენია. რაც კი სკანდინავიაში და ბალტიისპირეთში ფეხბურთელთა ტრანსფერი ხორციელდება, თითქმის ყველაში მისი ხელი ურევია. რამდენადაც ვიცი, გიორგი ქინქლაძის „მანჩესტერ სიტიში" გადასვლაც პოლაკიდან მოდის.

— „ნეფთჩიდან" რატომღა წამოხვედი?

— ბაქოში დანაპირები არ შემისრულეს, თანაც იქ თამაშისას უმძიმესი ტრავმა მომაყენა აზერბაიჯანის ნაკრების ნახევარმცველმა აბუშევმა. ამდენი ხანია ვთამაშობ და ასე სერიოზულად ჯერ არ დავშავებულვარ. „ნეფთჩიში" კრგა ხანს ვიმკურნალე, საბოლოო ჯამში შვიდ თამაშში ოთხი გოლი გავიტანე, გუნდი კი მესამე ადგილზე გავიდა და აზერბაიჯანის თასიც მოიპოვა.

— ესტონეთის ჩემპიონატზე გვითხარი.

— ესტონეთის უმაღლეს დივიზიონში 8 გუნდია. ორწრიანი პირველი ეტაპის შემდეგ ბოლო ორი აკლდება გათამაშებას და დარჩენილი ექვსი ისევ ორ წრედ აგრძელებს ასპარეზობას. ასე რომ, საბოლოოდ 24 თამაშის ჩატარება უწევთ. ახლა პირველი ეტაპი დამთავრდა, ჩვენი გუნდი მეორე ადგილზეა 23 ქულით, წინ ტალინისვე „ლანტანაა" 34 ქულით, მაგრამ თერთმეტქულიანი სხვაობა არაფერს ნიშნავს, რაკიღა მეორე ეტაპზე გუნდებს ქულები უნახევრდებათ და ასპარეზობას ისე აგრძელებენ.

— რამდენადაც მახსოვს, ტალინის „ნორმაში" საქართველოს **1969** წელს დაბადებულთა ნაკრების კაპიტანი, გაგრელი ვალერი იაკოვლევიც თამაშობდა. რამე ხომ არ იცი მის შესახებ?

— ერთხელ ტალინში სეირნობისას ჩემთან უცნობმა ახალგაზრდა კაცმა მოირბინა და ჩამეხუტა. გაოცება რომ შემნიშნა, მითხრა, იაკოვლევი ვარ, ქუთაისის დუბლებში მაშინ ვთამაშობდი, შენ რომ ძირითადის მოთამაშე იყავიო. იმას ვახსოვდი, მე — არა. თამაშისთვის თავი დაუნებებია და ტალინში დასახლებულა. სუფთა ქართულით ლაპარაკობს...

— სხვა ნაცნობებს ხომ არ გადაჰყრიხარ?

— ჩემამდე „ფლორაში" ალგიმანდას ბრიაუნისი თამაშობდა, ხაშურის „ივერიის" ყოფილი მეკარე. როცა პოლაკმა ჩემი მიწვევა განიზრახა, მას დაეკითხა, როგორი მოთამაშეაო. ბრიაუნისმა თურმე ცამდე ამიყვანა ქებით, ორი გოლი შემიგდო ერთ თამაშში, ზუსტად ისეთი ფეხბურთელია, ახლა რომ გვჭირდებაო. ჩემი ჩასვლისთანავე ბრიაუნისი პოლაკმა დანიის თასის მფლობელ „კოპენჰაგენში" გაყიდა.

— თუ გაამართლე ბრიაუნისის ავანსები?

— ჯერჯერობით რვა მატჩი ვითამაშე „ფლორაში" და ხუთი გოლი შევაგდე, რომ არა ბაქოში მიღებული ტრავმის გართულება, მეტსაც ვიზამდი, ჩემი პასებით გატანილი გოლები კი არ დამითვლია. ჩემს ადგილზე, უკანდაწეულ თავდამსხმელად ვთამაშობ და ამიტომ თავდამსხმელებს პასებს არ ვაკლებ.

— ერთ-ერთი სატელეფონო საუბრისას. შენმა მეუღლემ, მარინამ მითხრა, თითქოს „ფლორას" მწვრთნელადაც დაენიშნეთ და, ეს კი არა, ახალგაზრდული ნაკრების ჩაბარებასაც აპირებდნენ.

— მართალი უთქვამს. საქმე კი ასე იყო: ჩვენი მწვრთნელი რომან უბაკივი, რომელიც იმავდროულად ესტონეთის ეროვნულ ნაკრებს წვთრნიდა, ფეხბურთის გაგებაში არ იყო. მისი აზრით, მთავარი ფიზიკური მომზადება იყო და საწყალ ფეხბურთელებს ქანცი გაუწყვიტა კროსებით. როცა ზედიზედ მესამედ წავაგეთ, პრეზიდენტმა იგი დაითხოვა და მე მთხოვა, ამდენი წელია, ფეხბურთს თამაშობს და სანამ ტრავმა გაქვს, ეგება გუნდი გაწვრთნა, ვიდრე ახალ მწვრთნელს ვიშოვიო. მეც ავდექი და ფომენკოს სკოლა გავიხსენე, დავიდე წინ დაფა, ფიგურები, თეორიას მეტი დრო დავუთმე და ფეხბურთელებს ხისტი თამაშის, ბურთის კოლექტიური ართმევის, კუთხურის „გურიასეულ" ვარიანტების და, რაც მთავარია, „პადკატების" საიდუმლო ავუხსენი. ვუთხარი, ვინც „პადკატს" არ გააკეთებს, გუნდიდან დავითხოვ-მეთქი. არადა, აქამდე ამის ბაიბურში არ იყვნენ. სამი მატჩის ვითამაშეთ, ფეხბურთელები მეუბნებოდნენ, მსგავსი ჩვენთვის არავის უსწავლებიაო. ორი ფრესა და ერთი წაგების მერე მივხვდი, რომ რაღაცა ისე ვერ იყო, თორემ გუნდი უკვე სწორ ფეხბურთს თამაშობდა. მყის ექიმს შევამოწმებინე მოთამაშეები. ექიმი გადაირია, თერთმეტიდან ათ კაცის არათუ თამაში, კიბეზე ასვლაც არ შეიძლება, ისე არიან გადამწვარი დიდი ფიზიკური დატვირთვებითო. მოკლედ, წინა მწვრთნელმა ლამის სამარის კარამდე მიიყვანა ახალგაზრდა ბიჭები უმძიმესი ფიზიკური ვარჯიშებით. იმ სამი მატჩის განმავლობაში ლამის იყო გავგიჟდი და პრეზიდენტს ვთხოვე, ფეხი უკვე მომირჩა, გუნდს შენ ჩაუდექი სათავეში-მეთქი. ასეც მოხდა და პირველივე თამაში 5:0 მოვიგეთ, ერთი გოლი შევაგდე, სამიც სხვას გავატანინე. ახლა, რამდენადაც ვიცი, „ლილესტრიომის" მწვრთნელი ჩამოყავს.

— რადგან სიტყვამ მოიტანა, ამ გუნდის კარში გატანილ გოლზეც გვითხარი...

— პირველ მატჩში ნორვეგიაში 0:0-ზე გოლი შევაგდეთ, მაგრამ არ ჩაგვითვალეს, მერე რატომღაც გამომცვალა მეორე ტაიმში მწვრთნელმა. საბოლოოდ, 0:4 წავაგეთ. შინ კი ბევრს ვუტევდით, მაგრამ როგორ გინდა ოთხი ბურთი „ამოქაჩო"? მეკარესთან პირისპირ გავედი, თავზე გადავუგდე და 1:0 მოვიგეთ.

— შენს გარდა ვინმე ლეგიონერი თუა „ფლორაში"?

— სომეხი ვალე იალმურიანი, თავდასხმაში თამაშობდა...

— იალმურიანის თამაშიც მინახავს და ისიც ვიცი, ერევნის „არარატის" შემადგენლობაში სეზონში 40 გოლი გაჰქონდა. „ფლორაშიც" ბომბარდირობდა?

— სანამ ვთამაშობდი, პასებს არ ვაკლებდი, იმასაც გაჰქონდა. როცა ტრავმა მივიღე, პასის მიმცემი აღარ ჰყავდა, გუნდში უბრალოდ არ არსებობს მსგავსი ცნება — „პასი". ამიტომაც გოლი ველარ გაიტანა და გუნდიდან გაუშვეს.

— წელს გუნდის მიზანი ჩემპიონობაა?

— რა თქმა უნდა. ჩვენი პრეზიდენტი ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცაა და ძალიანაც დაინტერესებულია ესტონეთში ფეხბურთის დონის ამაღლებით. ხან ბელგიიდან ჩამოჰყავს ფეხბურთელები, ხან დანიიდან. მოთამაშეებსაც ყიდულობს, შეიძლება მალე ჩვენთან გია გურულიც გადმოვიდეს. მას უკვე ველაპარაკეთ და თითქმის თანახმაა. ასევე არაა გამორიცხული ერთი-ორი კაცის წაყვანა თბილისის „დინამოდან", მოკლედ, დიდი გეგმები გვაქვს...

— ზემოთქმული მაფიქრებინებს, რომ კორღალიძე კარგა ხანს დარჩება ესტონეთში.

— ადვილი შესაძლებელია. ქალაქის ცენტრში ბინა მომცეს, „ბეემვეც" მაჩუქეს, პრეზიდენტი ჩემთან ძმაკაცობს. ამასწინათ სამი თვის დობერმან პინჩერიც მაჩუქა. მთხოვა, შენი ვაჟი, ლევანიც ჩამოიყვანე და უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე ჩვენს ფარმ-კლუბში, „ტერვირში" ვათამაშოთ, თუ ივარგა, ისიც „ფლორაში" გადმოვიყვანოთო. ჩემი სიტყვა ლამისაა კანონია ფეხბურთელებისთვის. ტალინი ლამაზი, მყუდრო ქალაქია, თხუთმეტ წუთში შემოივლი მანქანით. ხალხიც წესიერია. თუ გავძელი და ოჯახიც ჩავიყვანე, დავრჩები კიდევ ორიოდ წელიწადს. ამასობაში ლევანიც დაიწყებს თამაშს და...

მამუკა კვარაცხელია

# პორტუგალია

VII ტურის გვიანი მატჩები
სპორტინგი — მარტიმუ 2:0, ლეცა — ვარენსე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 8 | 7 | 1 | 0 | 17-2 | 22 |
| სპორტინგი | 8 | 7 | 1 | 0 | 18-4 | 22 |
| ბენფიკა | 8 | 5 | 2 | 1 | 9-4 | 17 |
| ბოავიშტა | 8 | 5 | 1 | 2 | 14-7 | 16 |
| გიმარაეში | 8 | 4 | 2 | 2 | 11-9 | 14 |
| სალგეირაში | 8 | 3 | 4 | 1 | 9-5 | 13 |
| ბელენენსეში | 8 | 4 | 1 | 3 | 11-9 | 13 |
| ბრაგა | 8 | 4 | 1 | 3 | 9-15 | 13 |
| მარიტიმუ | 8 | 3 | 1 | 4 | 14-10 | 10 |
| ფელგეირაში | 8 | 2 | 4 | 2 | 8-7 | 10 |
| ტირსენსე | 8 | 2 | 4 | 2 | 11-8 | 10 |
| ეშტრელია ამად. | 8 | 2 | 3 | 3 | 6-6 | 9 |
| ფარენსე | 8 | 2 | 2 | 4 | 8-8 | 8 |
| ლეცა | 8 | 2 | 2 | 4 | 7-12 | 8 |
| ყილვისენტე | 8 | 2 | 1 | 5 | 6-13 | 7 |
| შავეში | 8 | 1 | 3 | 4 | 11-13 | 6 |
| კამპომაიორენსე | 8 | 1 | 1 | 6 | 6-23 | 4 |
| უნიაუ ლეირია | 8 | 1 | 0 | 7 | 5-23 | 3 |

# საბერძნეთი

VII ტური. კალამატა — სანტი 1:1, იონიკოსი — აეკ 1:4, ათანაიკოსი — ლარისა 1:0, ოლიმპიაკოსი — ირაკლისი 2:1, პანიონისი — ედესაიკოსი 1:2, პაოკ — ეთნიკოსი 2:0, პანილიაკოსი — ოფი კრეტა 4:2, პანათინაიკოსი — პანაჩაკი 1:0, არისი — აპოლონი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 7 | 6 | 1 | 0 | 17-3 | 19 |
| პანათანაიკოსი | 7 | 6 | 1 | 1 | 13-5 | 19 |
| აეკ | 7 | 6 | 0 | 1 | 21-6 | 18 |
| ოფი კრეტა | 7 | 4 | 1 | 2 | 22-14 | 13 |
| იონიკოსი | 7 | 4 | 1 | 2 | 13-11 | 13 |
| ირაკლისი | 7 | 4 | 0 | 3 | 14-11 | 12 |
| ედესაიკოსი | 7 | 3 | 3 | 1 | 13-10 | 12 |
| პაოკ | 7 | 3 | 2 | 2 | 10-8 | 11 |
| აპოლონი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-6 | 9 |
| სანტი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-10 | 9 |
| პანაჩაკი | 7 | 3 | 0 | 4 | 9-17 | 9 |
| კალამატა | 7 | 2 | 2 | 3 | 14-14 | 8 |
| არისი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-9 | 8 |
| ათინაიკოსი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| პანიონისი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-16 | 5 |
| პანილიაკოსი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-12 | 5 |
| ეთნიკოსი | 7 | 0 | 0 | 7 | 5-21 | 0 |
| ლარისა | 7 | 0 | 0 | 7 | 4-22 | 0 |

# თურქეთი

X ტურის გვიანი მატჩი
კანსფორი — ანტალიასფორი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონსფორი | 9 | 7 | 2 | 0 | 24-7 | 23 |
| ფენერბაჩე | 9 | 6 | 3 | 0 | 17-5 | 21 |
| გალათასარაი | 9 | 6 | 1 | 2 | 15-12 | 19 |
| ბეშიქთაში | 9 | 5 | 2 | 2 | 23-14 | 17 |
| ანტალიასფორი | 9 | 4 | 3 | 2 | 16-16 | 15 |
| ბურსასფორი | 9 | 4 | 2 | 3 | 21-15 | 14 |
| გაზიანთეპსფ. | 9 | 3 | 4 | 2 | 10-4 | 13 |
| სამსუნსფორი | 9 | 4 | 1 | 4 | 16-12 | 13 |
| ქოჩაელისფორი | 9 | 3 | 3 | 3 | 10-12 | 12 |
| დენიზლისფორი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-13 | 12 |
| კარშიაკა | 9 | 3 | 3 | 3 | 13-18 | 12 |
| ანკარაგიუჯიუ | 9 | 3 | 2 | 4 | 8-16 | 11 |
| გენჩერლერბირ. | 9 | 2 | 4 | 3 | 11-14 | 10 |
| ესკიშეპირსფ. | 9 | 2 | 3 | 4 | 14-20 | 9 |
| ვანსფორი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-8 | 8 |
| კაიზერისფორი | 9 | 1 | 4 | 4 | 10-16 | 7 |
| ალთაი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-20 | 7 |
| ისტანბულსფ. | 9 | 1 | 1 | 7 | 11-23 | 2 |


ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ
ილონა დავიდოვას
„ექსპრეს-მეთოდით"
შემსწავლელ
სამთვიან კურსებზე.
სწავლება მიმდინარეობს
ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია:
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3
სართული, საგზაო-საავტომობილო
ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი:

36-00-94, 36-65-00, 93-36-71


ინგლისური პრესა რა დღეში იქნება, ადვილი წარმოსადგენია. საქმე ის გახლავთ, რომ მისი საძულველი დიეგო მარადონა 6 ნოემბერს ოქსფორდში ჩასვლას და ლექციის გამართვას აპირებს. მარადონას თქმით, ისტორიაში პირველად, ფეხბურთელის ლექცია ოქსფორდში დიდძალ და მნიშვნელოვან აუდიტორიას შეკრებს. არგენტინელი სუპერვარსკვლავი ინგლისში მეუღლესთან, შვილებთან და მამასთან ერთად აპირებს ჩასვლას, ოღონდ ის არ უთქვამს, თუ რაზე ისაუბრებს პატივცემულ საზოგადოებასთან.

გერმანიის ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია" ქვეყნის პირველობაზე დღეისათვის სამი ქულით ჩამორჩება ლიდერს „მიუნხენის „ბაიერნს", რომელსაც პირად შეხვედრაში ამ სეზონში 3:1 მოუგო და ჭერჭერობით ერთადერთი მარცხი აგემა. ჩემპიონთა ლიგაშიც უხეირო სტარტის შემდეგ გუნდმა „სტიაუას" ძლევით მდგომარეობა გაიუმჯობესა. ალბათ ამანაც ითამაშა გარკვეული როლი იმაში, რომ ხელმძღვანელობამ მწვრთნელს ოტომარ ჰიცფელდს ამ დღეებში კონტრაქტის ვადა 1999 წლამდე გაუგრძელა.

ჰოლანდიელმა მწვრთნელმა იოჰან კრუიფმა, მოგეხსენებათ, „ბარსელონას" შემადგენლობა მნიშვნელოვანწილად გამოცვალა და წლეულს შეკრებილი ახალწვეულებით იბრძვის როგორც ესპანურ, ასევე ევროპულ ფრონტებზე. ჩემპიონატში „ბარსა" ცხრა ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა და ლიდერს, მადრიდის „ატლეტიკოს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება, უეფას თასზე კი მეთექვსმეტედფინალის პირველ ტურში 3:0 მოუგო პორტუგალიის „გიმარაეშს". როგორც ჩანს, კრუიფი არ განეკუთვნება იმ მწვრთნელებს, რომლებიც კარგი გუნდის შექმნას გულშემატკივრებს ორი-სამი წლის შემდეგ ჰპირდებიან და პირველივე დღიდან შედეგს აღწევს, ოღონდ ასეთი მუშაობა გვარიან ნერვიულობადაც უჯდება. ბოლო ტურში „ვალენსიას" ძლევა (1:0) კატალონიელთა ჰოლანდიელ „დიქტატორს" მსაჯთან ჩხუბად და წითელ ბარათად დაუჯდა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მას ხუთი თამაშით აუკრძალა მწვრთნელთა და სათადარიგოთა სკამზე ჯდომა.

თურქეთის „ისტანბულსფორმა" დაითხოვა ცნობილი ჰოლანდიელი მწვრთნელი ლეო ბეენჰაკერი, რომელიც გუნდს სეზონის წინ ჩაუდგა სათავეში. ბეენჰაკერმა თავისთან, სტამბოლს, ორი აიაქსელი პეტერ ვან ფოსენი და ჯონ ვან დერ ბრომიც წაიყვანა, მაგრამ მათაც ვერ ივარგეს. თურქების მოთმნების ფიალა მაშინ აივსო, როდესაც „ისტანბულსფორმა" ბოლო რვა თამაშიდან შვიდი წააგო.

ესპანეთის ჩემპიონის, მადრიდის „რეალის" გენერალურმა ასამბლეამ დაიწუნა კლუბის პრეზიდენტის რამონ მენდოსას მიერ წარდგენილი 1994-95 წლების საფინანსო ანგარიში. 429 მეწილემ იგი უვარგისად სცნო, 392-მა მოიწონა. საქმე ის გახლავთ, რომ „რეალის" ვალი 100 მილიონი დოლარით გაიზარდა, თუმცა მენდოსა პრეზიდენტის პოსტის მიტოვებას არ აპირებს.

ბრაზილიელი „ფეხბურთის მეფე" პელე ორშაბათს 55 წლისა გახდა. ამ ქვეყნის სპორტის მინისტრი თურმე იმდენსავე იწონის, რამდენსაც 25 წლის წინ მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაბრწყინების ეპოქაში იწონიდა. 78-კილოგრამიანი „მეფე" აცხადებს, რომ დღესაც ბევრ ახალგაზრდა მოქმედ ფეხბურთელზე უკეთ თამაშობს, წონას და ფორმას კი იმით ინარჩუნებს, რომ უპირატესად ხილით იკვებება, არ ეწევა თამბაქოს, არ სვამს ალკოჰოლიან სასმელებს და ადრე იძინებს ხოლმე. პელეს თავის მოვლის ასეთ წესს მშობლები თურმე ბავშვობიდანვე აჩვევდნენ.

უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში გაიმართა აფრიკა — აზიის თასის მატჩი. უზბეკმა ფეხბურთელებმა უმასპინძლეს ძლევამოსილ ნიგერიელებს და 2:3 წააგეს. გოლები გაიტანეს: მასპინძელთაგან კასიმოვმა (70) და ფიოდოროვმა (85), სტუმართაგან ოლისემ (10), იკპებამ (65) და ივანკვომ (71).

## ფეხბურთის რუკასთან



რუმინეთის ჩემპიონატში აუტსაიდერმა „ბრაშოვმა" მოუგო ჩემპიონს, ლიდერს და ჩემპიონთა ლიგის ბინადარს ბუქარესტის „სტიუას" 1:0. ერთადერთი გოლი 23-ე წუთზე ვასკმა გატანა. სხვა თამაშები: უნივერსიტატია (კრაიოვა) — სელენი 1:0, რაპიდი —პოლიტეხნიკა (ი) 3:0, პეტროლული — ნაციონალი 0:0, ჩახლაული — სპორტულ სტუდენცესკი 1:0, ოცელუოლი — ინტერი 2:0, გლორია — ფარული 0:2, დინამო — პოლიტექნიკა (ტ) 3:0, არჯეში — უნივერსიტატია (კლუჟი) 0:2.

ესპანეთის მეორე დივიზიონს 8 ტურის შემდეგ ლიდერობენ „ერკულესი" და „ბარსელონა-ბ". პირველმა ბოლო ტურში მოუგო „ტოლედოს" 4:0. ოთხიდან ორი გოლი გაიტანა იანკო იანკოვიჩმა, რომელიც ადრე „რეალსა" და „ოვიედოში" გამოდიოდა. „ბარსელონას" მეორე გუნდმა კი „ვილიარეალს" 1:0 სძლია. ორივე ლიდერს 19 ქულა აქვს.

გერმანიის ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას სათავეში უდგანან „ჰანზას" მოთამაშე ბაუმგარტი და „შტუტგარტის" ელბერი, რომელთაც ათი ტურის შემდეგ 8 გოლი აქვს გატანილი. 6 გოლით მათ კვალში უდგანან ჰამბურგელი ალბერტსი, შტუტგარტელი ბობიჩი, მიუნხენელი ბორიმიროვი, მიონხენგლადბახელი დალინი, დორტმუნდელი ჰერლიხი და „ზანკტ პაულის" სავიჩევი.

საფრანგეთში კი 14 ტურის შემდეგ ყველაზე მეტი გოლი — 9 — „სენტ ეტიენის" თავდამსხმელს დრობნიაკს და „ნანტის" ზანგ ფორვარდს ნდორამს აქვთ გატანილი. 8 შეაგდეს „პარი სენ ჟერმენის" დელი ვალდესმა და ლიონელმა „მორისმა", 7 — „სტრასბურის" კელერმა.

გერმანიის ნაკრებისა და ბრემენის „ვერდერის" მეკარემ ოლივერ რეკმა, რომელსაც გასული სეზონის ბოლოს ზურგის ოპერაცია გაუკეთეს, თავისი კლუბის სამოყვარულო გუნდში დაიწყო ვარჯიში. „ვეიეს" წინააღმდეგ მატჩის პირველ ტაიმში იმდენად ცოტა სამუშაო ჰქონდა, რომ მეორე ნახევარში მეტოქის კარში გადავიდა, სადაც ვერდერელებმა გვარიანად გაახურეს. დორტმუნდის „ბორუსიის" თავდამსხმელებმა შაპუიზამ და რიდლემ კი, რომლებსაც გაზაფხულზე ჭვარედინი მყესები გაუწყდათ, ვარჯიში დაიწყეს. როგორც კლუბის ექიმი რუდიგერ ჰარტმანი თვლის, დეკემბრისთვის აღდგენითი პროცესი დასრულდება. მიუნხენში დიუსელდორფთან მარცხის შემდეგ მიუნხენის „ბაიერნის" მწვრთნელი ოტო რეჰაგელის მისამართზე მისულმა ჟურნალისტებმა უჩვეულო რამ იხილეს. სახლის აბრაზე რეჰაგელის გვარის მაგივრად დიდი ფლამანდიელი მხატვრის — რუბენსის გვარი იყო ამოტვიფრული. საქმე ისაა, რომ სახლის მეპატრონე ბინებს ცნობილი მხატვრების — რემბრანტის, რუბენსის, ვან დეიკის სახელებს არქმევს.



შტეფან შაპუიზას ექიმი ავარჯიშებს

# არა შეჯდა მღყერი ხესა...

### ჩემპიონთა ლიგა

25 ოქტომბერი. „ა" ჯგუფი

**ოლბორგი 2:1 პანათინაიკოსი**

ანდერსენი (8), მადსენი (90); ვარუიხა (43)

CHAMPIONS LEAGUE

ნამეტანი სჭირდებოდა საბერძნეთის ჩემპიონს მოგება, ფრე მაინც. რომ მოეგო, „ნანტს" და „პორტუს" ხუთი ქულით გაასწრებდა და თავი ქუდში თუ არა, სადღაც ახლოს ნაღდად ექნებოდა. ამიტომაც იყო, დანიელებს შემართებულნი რომ ესტუმრნენ. ეტყობა, მწვრთნელმა ხუან რამონ როჩამ თავის მოთამაშეებს ამ თემაზე ბევრი უჩიჩინა და საბრძოლო განწყობილება შეუქმნა. „პანათინაიკოსი" ცნობილი ზეპ პიონტეკის ბიჭებს, რომლებმაც ამ თამაშამდე პორტუშიც წააგეს და ნანტშიც, მესამე მარცხის მისაყენებლად ეკვეთა. ყოველ შემთხვევაში, მატჩის პირველ ხუთწუთიან მონაკვეთში ტერიტორიულ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ. მასპინძლები თითქოსდა საკუთარ ნახევარს მიეჯაჭვნენ, მაგრამ დადგა მერვე წუთი და მოხდა საკმაოდ ლოგიკური რამ — „ოლბორგის" სწრაფმა, ზუსტად შესრულებულმა კონტრშეტევამ, რომელსაც, ცხადია, ბერძენთა დაცვის შეცდომამაც შეუწყო ხელი, შედეგი მოიტანა: პეტერ რასმუსენმა მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში ჩაწოდა, კალიძკისმა დაცვაში ვერ ივარგა და ერიკ ბო ანდერსენმა შემოტრიალებაც მოახერხა და ზუსტი დარტყმაც. ასე გაიხსნა ანგარიში, რის მერეც ტემპმა იმატა. ასე, მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე წუთზე სტუმრებმა მეტისმეტად მწვავე მომენტი შექმნეს. დანიის ჩემპიონთა კარში ჯარიმა დაინიშნა, დამცველმა მხარემ ცოცხალი კედელი დააყენა, ბერძენთა დარტყმა კედელს ასცდა და მეკარე გილმა ნახტომით კი მოიგერია, მაგრამ ვერ შეიმაგრა. გაგორებულ ბურთს ვარუიხამ მიუსწრო, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ კუთხე მეტისმეტად მახვილი გახლდათ და გილმა კუთხურზე მოგერიება შეძლო. ამის მერე „პანათინაიკოსმა" კიდევ ერთხელ იგდო ხელთ უპირატესობა. 23-ე წუთზე პიონტეკმა ანდერსენი მადსენით შეცვალა. ამ მადსენს, რომელსაც იმ დღეს გამარჯვების გოლის გატანა ეწერა, ახალშემოსულსვე შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ააცილა. ტაიმის ბოლო მონაკვეთმა კვლავ უპირატესობ[illegible] რაიმე საგანგებოდ არსაწერი მომენტი 43-ე წუთამდე არ შექმნილა. [illegible] რძნებმა გაქვეთეს. 30 წლის [illegible] საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი, მოტრიალდა და დაარტყა. ალბათ გილი ამ დაბალ და არცთუ განსაკუთრებულ დარტყმას არ გაუშვებდა, მაგრამ სანამ ბურთი მასთან მივიდოდა, ვიღაცის ფეხს მოხვდა, მიმართულება იცვალა და კარის ბადეში ამოჩნდა. ეს ჩემპიონთა ლიგაში ვარუიხას მესამე გოლი გახლდათ.

მეორე ტაიმის დასაწყისი პირველზე სწრაფი კი იყო, მაგრამ სახიფათო მომენტის გარეშე. ვინძლო, ასეთ თამაშს თანდათან დიდი ინტრიგაც მოჰყოლოდა, მაგრამ ამ დროს გერმანელმა არბიტრმა ჰელმუტ კრუგმა, ჩვენი აზრით, შეცდომა დაუშვა, რამაც თამაშის ნირი შეცვალა. ერიკ ბო ანდერსენის წაქცევისთვის მსაჯმა კალიძკისი გააძევა, იგი კი, ვფიქრობთ, გასაძევებელი არ იყო, რადგან, ჯერ ერთ, საერთოდ, იყო თუ არა ჯარიმა, დიდად საკამათოა, მეორეც, თუნდაც ჯარიმა ყოფილიყო, „ბოლო იმედის" ვერაფრით იქნებოდა, რადგან ბერძენ მცველს თანაგუნდელი აზღვევდა და ანდერსენი რომც არ წაქცეულიყო, ამ დამზღვევს შეეყრებოდა. ასე იყო თუ ისე, კრუგმა თავისებურად განსაჯა და ამის მერე სტუმრებმა იმ ენერგიის დიდი ნაწილი, აქამდე შეტევების მოწყობას რომ ალევდნენ, დაცვას, უფრო ზუსტად, შეცდომის არდაშვებას შეალიეს. მართალია, „პანათინაიკოსმა" წინა ტურში, პორტუშიც ათმა ითამაშა თერთმეტის წინააღმდეგ და მოიგო, მაგრამ ასეთი რამ ყოველ თამაშში ხომ არ გამეორდება. ისე, ფრე რომ დამთავრებულიყო, ალბათ უპრიანი იქნებოდა, მაგრამ ფეხბურთი ხომ იცით... ფეხბურთია. საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე პიონტეკის მიერ შეცვლაზე შეყვანილმა ორმა ფეხბურთელმა კომბინაცია გაითამაშა და — 2:1. მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს სხარტად და მარჯვედ ზემოთ ნახსენებმა მადსენმა უხელთა...

პაპუნა ქედია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| პორტუ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-1 | 4 |
| ნანტი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| ოლბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |

### იტალიის თასი

მერვედფინალი

ატალანტა — იუვენტუსი 1:0 დ.დ. (0:0)
კალიარი — სამპდორია 2:1
ოლივეირა (4), მუცი (26); ზეედორფი (67)
ფორლი — მილანი 0:2
დი კანიო (37), ერანიო (53)
უდინეზე — ლაციო 0:1
სინიორი (65)
პალერმო — ვიჩენცა 1:0
გალეოტო (72)
ფიერენცუოლა — ინტერი 1:2
ლეჩე — ფიორენტინა 0:5
რუი კოშტა (4), ბატისტუტა (39), ბაიანო (55, 74), რობიატო (90)

### ინგლისი. კოკა-კოლას თასი.

მესამე ეტაპი

ასტონ ვილა — სტოპკორტ ქაუნთი 2:0
ქოვენთრი სიტი — ტოტენპემი 3:2
კრისტალ პალასი — მიდლსბრო 2:2
დერბი ქაუნთი — ლიდს იუნაიტედი 0:1
ლივერპული — მანჩესტერ სიტი 4:0
მილუოლი — შეფილდ უენსდეი 0:2
ნორვიჩ სიტი — ბრედფორდ სიტი 0:0
ქვინზ პარკი — იორკ სიტი 3:1
საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი 2:1
სტოკ სიტი — ნიუკასლი 0:4
ვულვერჰემპტონი— ჩარლტონ ატლ. 0:0
ბირმინგემი — ტრანმერ როვერსი 1:1
უოტფორდი — ბლექბერნი 1:2
რედინგი — ბერი 0:2
ბოლტონი — ლესტერ სიტი 0:0
ბარსლი — არსენალი 0:3


## საფეხბურთო ტოტალიზატორი
# ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი № 05

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 29.10 | ინტერი — მილანი | იტ. ჩემპ. |
| 2 | 29.10 | ლაციო — იუვენტუსი | იტ. ჩემპ. |
| 3 | 29.10 | ნაპოლი — კრემონეზე | იტ. ჩემპ. |
| 4 | 29.10 | ატლეტიკო — მერიდა | ესპ. ჩემპ. |
| 5 | 29.10 | კომპოსტელა — ბარსელონა | ესპ. ჩემპ. |
| 6 | 29.10 | ესპანიოლი — სელტა | ესპ. ჩემპ. |
| 7 | 29.10 | ალბასეტე — რეალი | ესპ. ჩემპ. |

№04 ტირაჟის შედეგები:

1. 1-0 2. 2-0 3. 0-0 4. 3-1 5. 1-1 6. 0-1 7. 1-0

მოგებები: ხუთი მატჩი — 41 ლარი (5 ვარიანტი). ექვსი მატჩი — ვერვინ გამოიცნო. **JACK POT** — 205 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში. შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. **JACK POT** — 1012 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში. ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, აზმეტელი, სამგორი. რეგისტრაციის ბოლო ვადაა 28 ოქტომბერი (ჩათვლით). ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

# სადაც შობილა, გაზრდილა...

## ჩანახატები ფეხბურთის სამშობლოდან




ინგლისელი პოლიციელივით უემოციო ადამიანს ძნელად თუ შეხვდება კაცი. ერთხელ, შემთხვევით, დამნაშავის დაკავებასაც შევესწარი — ვიღაც არაბს მეორე არაბი უმოწყალოდ ეცემა. შემთხვევის ადგილზე, ოთხსართულიანი სავაჭრო ცენტრ „ვაითლის" მესამე სართულზე უცბად ორმოცამდე პოლიციელი გაჩნდა და ძველი ბიჭი ორიოდ წუთში დაიილიავეს, მაგრამ მე ოპერატიულობამ როდი გამაოცა: იმ არაბის ასობით თანამემამულე დაკავებისთვის ხელის შეშლას ცდილობდა და პოლიციელებს ხელსაც კი კრავდნენ, მაგრამ ესენი არანაირად აღელვებულან — „სერ, ძალიან გთხოვთ, ხელს ნუ მიშლით" — ამას თუ იძახდნენ. მოკლედ, ხმას ოდნავაც არ აუწიეს და საქმე ყვირილისა და შეხლა-შემოხლის გარეშე შეასრულეს.

...26 სექტემბერს ლივერპულსა და მანჩესტერში, ამ მეზობელ ქალაქებში, უეფას თასის ორი მატჩი ერთდროულად ტარდებოდა. „ლივერპული" ოსების „სპარტაკს" მასპინძლობდა, „მანჩესტერ იუნაიტედი" კი ვოლგოგრადის „როტორს". „ენფილდ როუდის" პრეს-ცენტრში შესვენებაზე გვითხრეს, „მანჩესტერი" 0:2-ს აგებსო. მართალი გითხრათ, არ მესიამოვნა — აქამდე „იუნაიტედი" შინ არასდროს დამარცხებულა ევროთასების მატჩში და არ მინდოდა, ტრადიცია ვილაც „როტორს" დაერღვია. საბედნიეროდ, დანიელმა მეკარე შმაიხელმა იყოჩაღა და ბოლო წუთზე ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ახლა ამაზე არაა საუბარი. ლივერპულში დიქტორმა დამსწრეთ აუწყა, ჩვენს მეზობელ ქალაქში მატჩი 2:2 დამთავრდა და „იუნაიტედი" გავარდაო — „ენფილდ როუდი" თუ არ დაინგრეოდა, არ მეგონა — ისეთი ღრიანცელი ატყდა. ჩემს უკან მჯდომმა პოლიციელმა კი ისეთი კივილი მორთო, სკოტლანდ იარდის მთელი წლის გეგმა შეასრულა. რა გჭირთ-მეთქი, მივმართე. როგორ რა? ასეთი ბედნიერი დღე ხომ ხშირი არაა: ჩვენ შემდეგ წრეში გავედით, ის დასაწვავი (დაახლოებით ასეთი გამოთქმა იხმარა) „მანჩესტერ იუნაიტედი" კი გავარდაო.

საოცარი ჩემთვის მხოლოდ პოლიციელის ემოცია იყო, თორემ „ლივერპულის" ქომაგებს რომ ნებისმიერი სხვა ინგლისური გუნდის მარცხი გაუხარდებოდათ, ვიცოდი. მანჩესტერი რა მოსატანია, „ენფილდ როუდზე" ასეთივე რეაქცია მოჰყვებოდა იმავე ლივერპულის მეორე გუნდის „ევერტონის" წარუმატებლობას. ეს ბრიტანეთისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. „სარბიელის" მკითხველებმა უკვე იციან, რომ ნახევარი გლაზგო, ანუ „რეინჯერსის" ყველა გულშემატკივარი „სელტიკთან" მატჩის დროს ჩვენებურ „ბათუმს" გულშემატკივრობდა. ასევეა ყველა სხვა ქალაქში, მაგრამ მანჩესტერის ორი გუნდის — „იუნაიტედისა" და „სიტის" ქიშპობაზე მავანი მთელ რომანს შეთხზავდა. მე კი შევეცდები ორიოდ სიტყვით გადმოგცეთ ამათი მტრობის ამბავი.

### როსლერის პაპის ჭირიმე

„მანჩესტერ სიტის" ქომაგები „ქუინზ პარკთან" მატჩის წინ გავიცანი. მე და დათო მჭედლიშვილი, „სარბიელის" კიდევ ერთი კორესპონდენტი ლონდონში, შეხვედრის დაწყებამდე საათით ადრე „ქუინზ პარკის" სტადიონთან მდებარე იმ ლუდხანაში შევედით, სტუმართა გულშემატკივრებს რომ „დაეპყროთ". კათხა ლუდის თანხლებით „ქინქლაძეებთან", ანუ გიოს მაისურებში გამოწყობილ ხალხთან გვსურდა საუბარი, მაგრამ ინტერვიუერის პოზიციაში ჩვენ თვითონ აღმოვჩნდით. ქინქის სამშობლოდან ყოფილანო — ერთი დაიძახეს და გარს შემოგვეხვივნენ. ყველაფერი აინტერესებდათ საქართველოს შესახებ და, ცოტა დაგვაკლდა, 9 აპრილის მოყოლაც მოგვიხდებოდა. შიგდაშიგ თავისსაც იტყოდნენ. ყველაზე მეტად ერთი მხარბეჭიანი აქტიურობდა. ამას თითქმის მთელი ხელები „ნაკოლკებით" ჰქონდა დაფარული, მაგრამ მთავარი ღირსშესანიშნაობა მისი მაისური გახლდათ, უფრო სწორად, წარწერა ამ მაისურზე: როსლერის ბაბუა ჯიგარი იყო — მან 1941 წელს „ოლდ ტრაფორდი" დაბომბაო. საქმეში ნაკლებად ჩახედულებს შევახსენებ, რომ უვე როსლერი „მანჩესტერ სიტის" გერმანელი ლეგიონერია, „ოლდ ტრაფორდი" კი „მანჩესტერ იუნაიტედის" სტადიონი. სამწუხაროდ, მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში ნაკლებად ვარ გათვითცნობიერებული, ამიტომ ვერ გეტყვით, მართლა დაბომბა თუ არა გერმანელთა ავიაციამ „ოლდ ტრაფორდი", მაგრამ ეს რომ „სიტის" მაშინდელ გულშემატკივრებს მოეწონებოდათ, ფაქტია. „შეხვედრის" ბოლოს „სიტისა" და ქინქის ქომაგებმა საყვარელი გუნდისადმი მიძღვნილი რამდენიმე სიმღერა შეასრულეს. ყველა მათგანი თითქმის ერთიდაიგივე ფრაზით მთავრდებოდა: მანჩესტერ იუნაიტედის დედაცო...

მოკლედ, ეს ბრიტანული, და არა მარტო ბრიტანული ტრადიცია ყველა გუნდის გულშემატკივრებს ისე აქვთ შესისხლხორცებული, ალბათ მუდამ ასეც დარჩება. თუმცა არსებობს იშვიათი გამონაკლისებიც — ფრანგულ „მონაკოსთან" შეხვედრისას ქიშპობა ყველამ დაივიწყა — „ლიდს იუნაიტედის" გამარჯვებამ ყველა ინგლისელი გულშემატკივარი სიხარულით ალავსო, მაგრამ ეს უკვე ამ ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების შედეგია.

ამის წამკითხველი იტყვის — ეს ინგლისელები გიჟები ყოფილან, ჩვენში ასეთი რამ ხომ არასდროს მოხდებაო. ნურას უკაცრავად, კაცმა არ იცის, რამდენიმე წელიწადში აქ როგორი სიტუაცია იქნება. ახლავე ვიცი თბილისის „დინამოს" გულშემატკივრები, „ბათუმის" შემდეგ წრეში გასვლა რომ არ ეპიტნავათ — ჩვენზე წინ როგორ უნდა იყვნენო. ბათუმშიც მითხრეს, მერა რა, რომ „სელტიკთან" გამოვვარდით, „დინამოსა" და „სამტრედიაზე" უკეთ ხომ ვითამაშეთო. ასე რომ, ნურაფერს დავიჟინებთ, მითუმეტეს, რომ ჩვენს მეზობელ დიად ქვეყანაში საქმე უკვე ბრიტანულადაა „აწყობილი": იმავე „ენფილდ როუდზე" შეკრებილი საზოგადოებიდან მხოლოდ 105 კაცს ეწყინა „როტორის" წარმატება. ესენი ვლადიკავკაზის „სპარტაკის" გულშემატკივრები იყვნენ... იმავე საღამოს მანჩესტერის აეროპორტში ამ ორი გუნდის თაყვანისმცემლებმა კი ისე ჩაუარეს ერთმანეთს, თითქოს ერთი სერბიას, მეორე კი ბოსნიას წარმოადგენდნენ. მილოცვასა ან თანაგრძნობაზე საუბარი ზედმეტი იყო.

### ფეხბურთი და ლუდხანა

„მონაკოსა" და „ლიდს იუნაიტედის" ზემოთ ნახსენები მატჩის რეპორტაჟს საფრანგეთიდან ჩემი ლონდონური უბნის, „ქვინზვეის" ერთ-ერთ ლუდხანა „როიალ ოუქში" ვუყურე. შემეძლო სახლშიც მეცქირა, მაგრამ პაბში სულ სხვაა. რასაკვირველია, სტადიონის, მითუმეტეს ბრიტანულის, ატმოსფეროს ვერაფერი შეცვლის, მაგრამ.... ინგლისში ლუდს თუ არ სვამ, კაცად არ გთვლიან, ყველაზე პატარა ქუჩაზეც კი თუ ერთი პაბი მაინც არაა, ის ქუჩად არც კი ითვლება — მარტივად ასე შეიძლება ითქვას ინგლისელებისა და ლუდის ურთიერთდამოკიდებულებაზე. საშუალო ინგლისელი საღამოს სწორედ ლუდხანაში ატარებს — თითქმის ყველა პაბის აუცილებელი ატრიბუტია ბილიარდის მაგიდა, სათამაშო ავტომატები, მუსიკა და, რასაკვირველია, ათასი ნაირსახეობის ლუდი. ოთხი თვის განმავლობაში უგონოდ გალეშილი არავინ მინახავს, თუმცა ერთ ან ორ კათხაზე არავინ ჩერდება. მოკლედ ამ დაწესებულებაში ყოველთვის სასიამოვნო სიტუაციაა, მაგრამ ფეხბურთის რეპორტაჟების დღე მაინც განსაკუთრებული რამაა. ეს უმთავრესად კვირას, ორშაბათს და ევროთასების მატჩების დღეს ხდება — არანაირი მუსიკა და მხოლოდ ფეხბურთი. უზარმაზარი ეკრანი სტადიონზე ყოფნის ასოციაციას იწვევს. **SKY-SPORT**, ტელეარხი, რომელსაც ინგლისის ჩემპიონატის მატჩების ჩვენების ექსკლუზიური უფლება აქვს შეძენილი, რეპორტაჟს მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე იწყებს. ამ დროის განმავლობაში ფეხბურთის ყოფილი ან ახლანდელი ვარსკვლავები გუნდების მდგომარეობას, ცალკეულ ფეხბურთელებსა („მანჩესტერ სიტისა" და „არსენალის" მატჩის წინ ქინქლაძეზე ათწუთიანი ჩანახატი უჩვენეს) და პროგნოზებს გვაცნობენ. მსაჯის სასტვენისთანავე, ისევე, როგორც სტადიონზე, ლუდხანაშიც იწყება ერთი ვაიუშველებელი. მიდი, ბიჭო! — ქომაგობენ ერთ გუნდს. დაარტყი, შე მკვდარო! — არც მეორე გუნდის ფანები არიან წყნარად. ამ სურათის პირველად შემყურე ვფიქრობდი, ყველაფერი დიდი ჩხუბით დამთავრდება-მეთქი, მაგრამ საბედნიეროდ შევცდი. შევცდი მაშინაც, როცა მეგონა, იგივე „მანჩესტერ სიტისა" და „არსენალის" თამაშისას მარტო მე და დათო ვუქომაგებდით „სიტის", დანარჩენები კი ლონდონელებს მიემხრობოდნენ, მაგრამ ლამის უკულმა გამოვიდა: მხოლოდ ერთი ჩია ზანგი გამოდგა „მეჩაქუჩე", ისიც, ალბათ, ზანგივე რაიტის ხათრით, დანარჩენები კი... გოუ, ქინქი, გოუ! — ორი მაგიდა მთლად ჩვენიანი გამოდგა: ეგ ბიჭი თუ მოახერხებს რამესო — იძახდნენ. უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდნენ ქინქლაძის თაყვანისმცემლები, როცა დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე ალანგ ბოლმა გიო ირლანდიელი ქუინით შეცვალა: ის სიტყვები, მანჩესტერიდან სამი საათის სავალზე მდებარე ლონდონის ერთ ჩვეულებრივ პაბში რომ გაისმა, აქ რომ გადმოვაქართულო, პრესის კანონის დარღვევა გამომივა და ამიტომაც მოვერიდები, თუმცა „სარბიელის" მკითხველები ალბათ მიხვდებიან ბოლის მისამართით გაგზავნილი ფრაზების მნიშვნელობას.

### მასონთა მორიგი ხრიკი

ლონდონში ჩასვლამდე მეგონა — ნებისმიერი გამვლელი რომ გავაჩერო და ლუდხანა „ფრიმენ თაუნის" ადგილსამყოფელი ვკითხო, მეტყვის-მეთქი, მაგრამ კოვზი ნაცარში კი არა, უარესში ჩამივარდა. რაღა იმ პაბს მიახტიო — იკითხავს ზოგიერთი. საქმე ისაა, რომ ფეხბურთის ნებისმიერ ენციკლოპედიაში წერია: „1863 წლის 26 ოქტომბერს ლონდონის ლუდხანა „ფრიმენ თაუნში" დაიწერა ფეხბურთის თამაშის წესების 13 პუნქტი, რომელნიც თანამედროვე ფეხბურთის საფუძველს შეადგენს". მოკლედ, აქ დაარსდა ფეხბურთი. ჰოდა, რა გასაკვირია, როცა ჩასვლისთანავე „ტეშიკას" (დათო მჭედლიშვილის მეტსახელია) ხელი მოვკიდე და ამ პაბის საძებნელად გავწიე. ორმა დღემ უნაყოფოდ ჩაიარა. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა — ნუთუ ფეხბურთის სამშობლოში არავინ იცის ამ ისტორიული პაბის ადგილსამყოფელი?! მხსნელად ისევ ჩვენებური მოგვევლინა — თბილისელყოფილი ლონდონელის, ჩვენი მეგობრის კახა აბაშიძის მეუღლე თამუნა. რა გაგჭირვებიათო — გვკითხა. მერე ერთი-ორი გადარეკ-გადმორეკა და ფეხბურთის ეს ორი „ამხელა სპეციალისტი" შეგვარცხვინა — ამა და ამ მისამართზე მიხვალთ და იქ არისო. საქმე ის ყოფილა, რომ თავად ლუდხანასაც და ქუჩასაც, სადაც ის მდებარეობს, დროთა განმავლობაში სახელი შეუცვლიათ და ახლა „ფრიმეისონ არმზად" იწოდება. მივადევგით ამ „თავისუფალ მასონთა" ლუდხანას, შევედით და... უკან გამოვედით: არავითარი ნიშანი იმისა, რომ ამ დაწესებულებას ფეხბურთთან რაიმე კავშირი აქვს. ვიფიქრეთ, იქნებ რომელიმე მაგიდას მაინც ჰქონდეს წარწერა, აქ იხდნენ ის სულმნათებიო და ძებნა გავნაგრძეთ. მოკლედ, პაბის პერსონალზე საკმაოდ საეჭვო შთაბეჭდილება დავტოვეთ და ამათაც დარბაზის მფლობელს დაუძახეს. ასე გავიცანით ისტორიული ადგილის ამჟამინდელი მეპატრონე ბილ თომასი, რომლის ნაუბარმა, მეტი რომ არ ვთქვათ, ერთობ გაგვაოცა: „ეს ლუდხანა სამი წლის წინ შევიძინე და მეც არ ვიცოდი, რომ აქ მე-19 საუკუნეში ფეხბურთი მოუგონიათ. მერე, ერთხელ, წინა მფლობელების საბუთებს ჩავუჯექი და აღმოვაჩინე, რომ ისტორიული პაბის მფლობელი გავმხდარვარ. თქვენი გაკვირვება მესმის, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს: ძველა ერიდებოდა თუნდაც პატარა მემორიალური დაფის გაკეთებას, ვინაიდან ეს ადგილი ფეხბურთის გიჟმაჟი გულშემატკივრების თავყრილობის ადგილად და, აქედან გამომდინარე, ჩხუბის არენად იქცეოდა. ახლა წინა წლებთან შედარებით სიტუაცია გამოსწორდა. ფანები იშვიათადღა ჩხუბობენ და მეც დაგეგმილი მაქვს ჩემი ლუდხანის ამბავი მთელ ქვეყანას ვამცნო. ნახევარ წელიწადში გამოიარეთ და წერილისთვის უკეთეს მასალას დაგახვედრებთ. ისე, თქვენზე ნაკლებად არც მე ვარ გაოცებული — ნაღდად არ ველოდი ჩემთვის უცნობი ქვეყნის ჟურნალისტთა სტუმრობას და ამიტომ საქმეს დავაჩქარებ კიდეც". აი, ასე, ძვირფასო მკითხველო! 1863 წელს ღვთისნიერმა ხალხმა ფეხბურთი დაგვიარსა, მაგრამ ქვეყანაში, სადაც პატარა ბიჭი სკოლაში „არსენალის" („ტოტენჰემის", „ჩელსის" და ა.შ.) მაისურით დადის, ხოლო რვეულზე, საშლელზე, სახაზავზე და ჩანთაზე გიგზი (კანტონა, გასქოინი და ა.შ.) ახატია, სანამ ქართველები არ ჩავერევით, საქმეს ვერ მიხედავენ. ხუმრობა იქით იყოს და, იმედია, ბილ თომასი სიტყვას არ გასტეხს. იმ დღეს „ფრიმეისონ არმზში", ისევე როგორც სხვა პაბებში, რაგბის მსოფლიო თასზე ინგლისისა და ავსტრალიის მატჩს უჩვენებდნენ. ჩვენც ხელი აღარ შევუშალეთ ენდრიუსა და ქარლინგის თაყვანისმცემლებს, თითო კათხა ლუდით ის დაუფასებელი ხალხი ვადღეგრძელეთ, ფეხბურთი რომ გვაჩუქა და ისევ პაპანაქებას მივეცით თავი — წელს ლონდონში სიცხე იყო, 1659 წლის მერე რომ აღარ ყოფილა. ეს ისე, ინფორმაციისთვის.

### სტუმართმოყვარე და არასტუმართმოყვარე მასპინძელი

ამ ლუდხანას ხომ ვერ გაექცევი კაცი! ისევ პაბებს უნდა დავუბრუნდე. აქ წესად აქვთ, რომ თუ ვინმეს რომელიმე საფეხბურთო მატჩის ტელეტრანსლაციის ყურება სურს, უარს არ ეუბნებიან (რა თქმა უნდა, ლაპარაკია არაინგლისური გუნდების თამაშზე). მაგალითად, სუპერთასზე „აიაქსისა" და „სარაგოსას" მატჩის ხილვა, როგორც აღმოჩნდა, მთელს „როიალ ოუქში" მარტო „სარბიელის" თანამშრომლებს გვსურდა. უარი ვერ გვითხრეს, ოღონდ გვთხოვეს, თუ კომენტატორის ხმა მაინცდამაინც არ გჭირდებათ, გამოვთიშავთ და დანარჩენ ხალხს მუსიკით გავართობთო. თქვენ წარმოიდგინეთ, მოგვიანებით ასევე მოხდა ჩემპიონთა ლიგის პირველ თამაშზე, როცა „ბლექბერნი" მოსკოვის „სპარტაკს" მასპინძლობდა: მთელს უბანში არავინ გამოდგა ქვეყნის ჩემპიონის გულშემატკივარი — თავში ქვა უტეხიათო და გაოცებულები მოგვჩერებოდნენ ორ ქართველს, „ბლექბერნის" წაგებამ ნერვები რომ აგვიშალა.

ახლოვდებოდა 6 სექტემბერი. ისედაც გადარეულებს **BBC**-ის საფეხბურთო მიმომხილველი მეტად გვახელებდა — მეშვიდე შესარჩევ ჯგუფში გადამწყვეტი თამაშია ნიურნბერგში: ვინც მოიგებს, ინგლისშიც ის წამოვაო. „აიაქსის" და „ბლექბერნის" გულისთვის ვიკლავდით თავს და გერმანია — საქართველოს მატჩს როგორ დავტოვებდით უყურებლად, მაგრამ სამწუხაროდ, იმავე დღეს და იმავე დროს „უემბლიზე" ინგლისი ამხანაგურად ეთამაშებოდა კოლუმბიას, ასე რომ, პაბთა რეპერტუარი გარკვეული იყო. აქეთ ვეცით, იქით და თავი რომ წყალწაღებულად ჩავთვალეთ, ბავსად ლონდონში გერმანიის საელჩო წამოგვიდგა. პირდაპირ ელჩს დავურეკეთ — ამ თამაშის ცქერა გვსურს და რას გვირჩევთ-თქო. ამანაც — მე არაფერი ვიცი, აგერ თქვენი კოლეგა, საელჩოს პრეს-ატაშე ფეხბურთზე გადამკვდარი და იმას შეეხმიანეთო, კოლეგიალობა გერმანიაშიც დაფასებული თვისება ყოფილა: ბევრი რომ არ გავაგრძელო, პრეს-ატაშემ შინ მიგვიპატიჟა.

ორის მახლობლად, მასპინძელმა კარი რომ გაგვიღო, ოთხი ქართველი დავხვდით: თბილისელი გულშემატკივრები დათო ჭითავა და ზურა პლაქსენი გვახლდნენ. მართალია, ვიცოდით, გერმანელს ორს რომ ეტყვი, ჩვენგან განსხვავებით ზუსტად ორს გაიგებს, მაგრამ იმ დღეს ქართველის უფეხბურთოდ დატოვება საცოდაობა იყო და ჩვენც გავრისკეთ. საბედნიეროდ, ჩვენი მასპინძელი, ქალაქურად რომ ვთქვათ, „კაი ტიპი" გამოდგა. ჩვენი რიცხვმრავლობა არ შეუცხადებია და ბინაში შეგვიძღვა. სახლი რომ კარგად მიმოვიხილეთ, მივხვდით, ოთხჯერ ოთხსაც მშვენივრად მიგვიღებდა, მაგრამ გვიანი იყო — ხუთ წუთში თამაში დაიწყო... წარმომიდგენია, რა ხდებოდა საქართველოში ქეცბაიას გოლის მერე. ლონდონში მყოფ ოთხ ქართველს მოლაპარაკებული გვქონდა, გოლი თუ გავიტანეთ, ემოციები დავიოკოთ და მასპინძელი არ გავაბრაზოთო, მაგრამ კაცი ბჭობდაო, ნათქვამია — ლამის კედლებზე გავედით. თუმცა, რატომ ლამის: როცა მართლაც ლამის კედელზე ასული ზურა პლაქსენი მიწას დაუბრუნდა, თან მთელს კედელზე ჩამოკიდებული ფარდაც წამოიყოლა. მოკლედ, ეს ამხელა ატაშე კაცი, ქეცბაიას გოლით ისედაც ფერწასული (აქ მივხვდით, ისიც ნამდვილი გულშემატკივარი ყოფილა), სარდაფში ჩასასვლელი შეიქნა. მალე კიბით ხელში დაბრუნდა და ფარდის თავის ადგილზე დაკიდება სცადა, მაგრამ უკვე თავისიანების გოლის გამო ისიც ფარდით დაეშვა ძირს. შესვენებაზე „რემონტი" დავასრულეთ და უფრო ახლოს გავიცანით მასპინძელი — ადრე რიო-დე-ჟანეიროში გერმანიის საკონსულოში ვმუშაობდი. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ პერიოდში ზიკოს ისე დავუმეგობრდი, ერთი-ორჯერ ერთად ვითამაშეთ. ფეხბურთს არა მარტო ვგულშემატკივრობ, ვთამაშობ კიდეც. აქ, ლონდონში ყოველ წელს საელჩოთა პირველობა ტარდება, ამ შაბათს ირლანდიის საელჩოს ვეთამაშებით და თუ ინებებთ, მობრძანდითო — გვითხრა. მერე ჩვენიც იკითხა. როგორც ნაღდმა გერმანელმა, გაიკვირვა — შევარდნაძეს მხარს როგორ ვერ უბამთო. მერე იყო კიდევ სამი გოლი ჩვენს კარში, მასპინძლის სიხარული და, რა თქმა უნდა, ლუდის ზღვა. ისე კი, საინტერესო ისიც იყო, რომ ატაშეს 15 წლის ვაჟიშვილმა თამაშს არ უყურა — მე ბასლერის გულშემატკივარი ვარ და თუ ის არ თამაშობს, ეშმაკსაც წაუღია ჩვენი ნაკრებიო. მოკლედ, მარტო ბრიტანელები როდი „აფრენენ".

### საწყალი რომის პაპი

იმ დღეს ინგლისი კოლუმბიას მასპინძლობდა. როგორც აღმოჩნდა, ესეც ისტორიაში შესატანი მატჩი ყოფილა: პირველად „უემბლის" ისტორიაში ტრიბუნებზე სტუმრის ქომაგი უფრო მეტი იყო. ვიდრე მასპინძლისა. ექსცესები არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო — ინგლისელები შინ არავის ერჩიან. მაშ რატომ ძრწის ნებისმიერი ქვეყნის პოლიცია ინგლისელი ფანის გაგონებაზე? ამაზე პასუხი ერთმა ლივერპულელმა გულშემატკივარმა გამცა: წადი, თუ გინდა და მთელს ქალაქში იყვირე — სპარტაკი, სპარტაკიო (ამას ოსი ჟურნალისტი ვეგონე, ახსნის დრო კი არ მქონდა), ხელს არავინ გახლებს. ჩვენზე მცირერიცხოვანი ჯგუფი რომ გავლახოთ, ამით ვერაფერს დავამტკიცებთ, ეს არაკაცურად ითვლება. მთავარია, ძალა სტუმრად დაამტკიცო, როცა ჩვენ ვართ ნაკლებნი. ისე, სადმე მანჩესტერშიც სიამოვნებით დავქოთავდით იქაურებს, მაგრამ პოლიცია შავ დღეს დაგვაყრის. სხვა საქმეა იტალიაში. ვერ ვიტან მაგ მემაკარონეებს. მართალი გითხრა, „ეიზელზე" ჩხუბს არ ვაპირებდით, მაგრამ მაგათ ქვების სროლა დაიწყეს და გამოგვიწვიეს. ახლა, როცა იტალიის რომელიმე ქალაქს ვესტუმრებით, ცენტრალურ მოედანზე ვდგებით და ვმღერით: გავკარით რომს პაპს, ღმერთო, ფარვიდე დედოფალს. ისე არიან დაშინებულები, ეს პროვოკაციაც არ გვშველის. ხოლო თუ ჩხუბში გამოვიწვიეთ, იქაც არაკაცურად იქცევიან და დანებს აძრობენ, ჩვენ კი მხოლოდ მუშტით ვჩხუბობთ.

### დღეს ფეხბურთის დღეობაა

უფრო სწორად, გუშინ იყო. მართლაც დიდებული რამ მოიგონეს კათხა ლუდის აკომპანემენტით ინგლისელებმა, და, მართალია, ამაგი სათანადოდ ჯერ ვერ დაუფასდათ, სხვა მხრივ ფეხბურთის სამშობლოში ყველაფერი რიგზეა. კლუბები ფინანსურად ჰყავიან, რაც ჟინოლების, ბერხკამპებისა და ქინქლაძეების ყიდვითაც ჩანს, სტადიონები ისეთებია, თავი ფილარმონიაში გეგონება, გულშემატკივრები კი... იქაური 10 ათასი კაცი უფრო ეხმარება გუნდს, ვიდრე ჩვენს ეროვნულზე მოსული 100 ათასი, როგორც გერმანიასთან მატჩზე იყო. ფეხბურთელის დაფასებაც უკეთესი იციან. მე თუ არ მენდობით, ხათუნა ჟორდანიას ჰკითხეთ. გასულ შაბათს იგი „მანჩესტერ სიტის" მიერ მეორე ქულის მოპოვებას დასწრებია, მერე კი ქინქლაძის დედისთვის დაურეკია — ქალბატონო ხათუნა, ასეთი ამაყი ცხოვრებაში არასდროს ვყოფილვარ, ეს როგორ უყვართ გიოო. და ეს ხდება გუნდში, რომელიც ბოლო ადგილზეა. წარმოიდგინეთ, რა პატივისცემაში იქნებიან ჟინოლა ანდა მაკმანანი. აქ კი, ქინქლაძემ ქუჩაში რომ გაიაროს, ნახევარი ვერც იცნობს. ასე რომ, თავი რომ პროფესორი გვგონია, იმაშიც სასწავლი ბევრი გვაქვს, ისე, როგორც ბევრი სხვა რამ.

სამაგიეროდ, სადღეგრძელოები ხომ ნამდვილად გვეხერხება და ამდენი ლაპარაკის მერე ძალიან რომ არ გაგვიჯანჯლდეს, მოკლედ და ალალად ვთქვათ: ფეხბურთს გაუმარჯოს!

ზურაბ მეძველია

# დასრულდა ყრმობა

ჰალეში, 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობაზე (66 მონაწილე) დამაჯერებლად გაიმარჯვა საერთაშორისო დიდოსტატმა ნინო ხურციძემ. ნინომ 11 ქულით (9 მოგება, 4 ყაიმი) დაასრულა ტურნირი და მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ჰალეში კიდევ სამი ქართველი მოჭადრაკე გამოდიოდა: საერთაშორისო ოსტატი ნატო ეძგვერაძე — 8,5 — მე-7 ადგილი, საერთაშორისო ოსტატი ინგა ხურცილავა — 8 — მე-12, ფიდეს ოსტატი ნათია აფხაიძე — 6,5 — 35-ე.



## ნინო ხურციძე

დაიბადა 1975 წლის 28 სექტემბერს, თბილისში. 1990 წელს გახდა ოსტატი, 1992 — საერთაშორისო ოსტატი, 1994 — დიდოსტატი.

საქართველოს ჩემპიონი 1987 და1993 წლებში

მსოფლიოს ჩემპიონი 16 წლამდე გოგონებში — 1990.

ევროპის ჩემპიონი 20 წლამდე გოგონებში — 1992.

მსოფლიოს ჩემპიონი 20 წლამდე გოგონებში — 1993 და 1995.

**— ნინო, შეიძლება ასეც ვთქვათ: თქვენ დაიბრუნეთ წოდება, რომელიც შარშან „ათხოვეთ" ჩინელ ჩუ ჩენს.**

— ჩუ ჩენმა შარშან მაჯობა ბრაზილიაში, იგი წელსაც ჩემი მთავარი მეტოქე იყო, მაგრამ ამჯერად მეხუთე ადგილზე დარჩა. ჩვენი შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ჩენი 19 წლისაა და დიდი მომავალი აქვს.

**— თქვენამდე ჩვენიანებიდან მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ ქეთევან არახამია და ქეთევან კახიანი...**

— 20 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი 1985 წლიდან ეწყობა და არახამიამ პირველივეში გაიმარჯვა. კახიანი ორჯერ, 1989 და 1990 წლებში იყო ჩემპიონი.

**— თუ საიდუმლო არ არის, ჯილდოდ რა მიიღეთ?**

— მხოლოდ ჩემპიონის მედალი. ადრე კი იყო პრიზიც და ფულადი ჯილდოც.

**— ტურნირის ორგანიზაცია, ცხადია, ჩინებული იქნებოდა...**

— გერმანიაში სხვაგვარად არც შეიძლებოდა — ქომაგებიც მლომად გვყავდა.

**— ჰალეს ტურნირით თქვენ დაასრულეთ „ყრმობის ხანა" ჭადრაკში. მართალია, მესამე წელია, „დიდების" ჭადრაკშიც გამოდიხართ, მაგრამ ამიერიდან მეტი მოგეთხოვებათ.**

— ვიცი, მაგრამ პრობლემად მექცა დიდ ტურნირებში მონაწილეობა და მაღალკვალიფიციური მწვრთნელის მოძებნა. ახლა ყველაფერი, როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს, დამოკიდებულია ფულზე, რომელიც არ გამაჩნია, ამიტომ მომავლისკენ თამამად ვერ ვიხედები. წლის ბოლოსთვის გრონინგენის დიდოსტატ ვაეთა ტურნირში მონაწილეობას მპირდებიან.

**— ხომ არ გიფიქრიათ, „აიყვანოთ" მწვრთნელად კომპიუტერი — ზოგი მათგანი ხომ დიდოსტატის ძალით თამაშობს.**

— კომპიუტერი მნიშვნელოვანი დამხმარე ძალაა, ტყუილად როდი აქვს ბევრ დიდოსტატს. ვფიქრობ, ახლო მომავალში უკომპიუტეროდ ძალიან გაძნელდება თამაში, მის შეძენაზე ყველას მოუწევს ფიქრი.

**— ამასთან დაკავშირებით: რას ფიქრობთ ჭადრაკის კომპიუტერიზაციაზე?**

— ბევრის აზრით, კომპიუტერი „მოკლავს" ჭადრაკს. მაგრამ, არა მგონია, კომპიუტერი ოდესმე შემოქმედად იქცეს, ასე რომ, ჭადრაკს სიკვდილი არ უწერია. მჯერა, რომ იგი ახალ საუკუნეშიც მიმზიდველი იქნება და ხიბლს ვერაფერი წაართმევს, მათ შორის, კომპიუტერიც.

თენგიზ გიორგაძე



# შესაძლოა ნაცვლიშვილმა ისრაელთან ითამაშოს



საქართველოს შარშანდელი საუკეთესო კალათბურთელის ევროპის ჩემპიონატის მომდევნო ორ თამაშში მონაწილეობის საკითხი შესაძლოა დადებითად გადაწყდეს. ამერიკაში, ბოსტონ-კოლეჯში მოსწავლე და მოთამაშე ნაცვლიშვილმა თავად გამოთქვა ნაკრების მატჩებზე ჩამოსვლის სურვილი, რის თაობაზეც ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობას აცნობა. თანაც სთხოვა ჩვენებს, ოფიციალური მიმართვა გაეგზავნათ სასწავლებლის მმართველებისთვის. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ამერიკაში უკვე აფრინა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ბოსნიასთან გამარჯვების შემდეგ საქართველოს ნაკრებს გაუჩნდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის პერსპექტივა. ამ მხრივ ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია 12 ნოემბრის მატჩი თბილისში — ისრაელთან და 15 ნოემბერს მინსკში — ბელარუსთან. ნაცვლიშვილი კი ამ შეხვედრებში საკმაოდ გააძლიერებს გუნდს და თუ შესაძლებელია, იქნებ ცოტა ხნით გამოუშვათო. რაც შეეხება მგზავრობის ხარჯს, ჩვენს მხარეს ეს პრობლემა უკვე მოუგვარებია. ასე რომ, ვატოს ჩამოსვლა-დარჩენის საკითხი მისი ახალი უფროსების — კოლეჯის რექტორისა და გუნდის მწვრთნელის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. რექტორზე იმიტომ, რომ სწავლა უკვე დაწყებულია და ისეთი პრესტიჟული და მკაცრი სასწავლებლიდან, როგორიც ბოსტონ-კოლეჯია, სტუდენტის განთავისუფლება (თუნდაც ამგვარი საპატიო მიზეზით და ამდენად ცოტა ხნით) არცთუ ისე ადვილია. რაც შეეხება მწვრთნელს — ნაცვლიშვილი აიყვანეს კოლეჯის მეორე გუნდში, რომელიც თვის ყოველ ლუწ რიცხვში ოფიციალურ მატჩს თამაშობს. ვატოს გადასვლა პირველ გუნდში, რომელიც NCAA-ის უმაღლეს დივიზიონში ასპარეზობს, დროის საქმეა — საკმარისია ქართველმა კალათბურთელმა ჩააბაროს „ტოეფელის" ტესტები, რომ კოლეჯის მთავარი გუნდის კარი მისთვის უმალ გაიღება. ვიმედოვნებთ, რომ ნაცვლიშვილის ჩამოსვლის საქმე დადებითად გადაწყდება (მით უმეტეს, მას თანადგომას უწევს ამერიკაში საქართველოს ელჩი თედო ჯაფარიძე) და დაწვრილებით ცნობებს მის შესახებ უკვე თბილისში ყოფნისას შემოგთავაზებთ.

რადგან NCAA ვახსენეთ, შემოგთავაზებთ მის ჩემპიონატში მონაწილე რამდენიმე ამერიკული სტუდენტური გუნდის მეტსახელს (მეორე სვეტში — ინგლისური მეტსახელი, მესამეში — თარგმანი).

| | | |
|---|---|---|
| ალაბამა | ქრიმზონ თაიდ | ძოწისფერი ტალღა |
| არიზონა | ვაილდ ქეთს | ველური კატები |
| არკანზასი | რეიზორბექს | სამართებლები |
| ბოსტონ კოლეჯი | გოლდენ იგლზ | ოქროს არწივები |
| დე პოლი | ბლუ დემონზ | ლურჯი [illegible] |
| დიუკი | ბლუ დევილზ | ლურჯი ეშმაკები |
| ვაიომინგი | კოვბოიზ | კოვბოები, მეჯოგეები |
| ვესტ ვირჯინია | მაუნთინერზ | მთიელები |
| ვისკონსინი | ბეჯერზ | მაჩვები |
| ინდიანა | ჰუზიერზ | ინდიანელები |
| ისტ ტენესი სტეიტი | ბაქანიერზ | მეკობრეები |
| იუტა | იუტსი | ინდიელები |
| UCLA (ლოს-ანჯელესი) | გოლდენ ბეარზ | ოქროს დათვები |
| კანზასი | ჯეიჰოქს | პარტიზანები |
| კენტუკი | ვაილდ ქეთს | ველური კატები |
| კონექტიკუტი | ჰასკიზ | ლაიკები |
| ლა სეილი | ექსპლორერზ | მკვლევარები |
| ლოიოლა | რამბლერზ | დარდიმანდები |
| ლოიოლა-მერიმაუნტი | ლაიონზ | ლომები |
| ლუისვილი | კარდინალზ | კარდინალები |
| მარკიტი | ვორიორზ | მეომრები |
| მასაჩუსეტსი | კრუზეიდერზ | ჯვაროსნები |
| მიჩიგან სტეიტი | სპარტანზ | სპარტელები |
| UNLV (ნევადა ლას-ვეგასი) | რებელზ | მეამბოხეები |
| ნორს კაროლინა სტეიტი | ვულვ ფექ | მგლების ხროვა |
| ნოტრ დამი | აირიშზ | ირლანდიელები |
| ობურნი | თაიგერზ | ვეფხვები |
| ოკლაჰომა | კოვბოიზ | კოვბოები, მეჯოგეები |
| ორეგონი | დაქზ | იხვები |
| ორეგონ სტეიტი | ბივერზ | თახვები |
| ოჰაიო | ბაქაიზ | ოჰაიოელები |
| პერდიუ | ბოილმეიქერზ | ამრევები |
| პიტსბურგი | პანტერზ | პანტერები |
| სამხრეთ კაროლინა | გეიმქოქზ | მოჩხუბარი მამლები |
| სან-ფრანცისკო | დონზ | წინამძღოლები |
| სენტ-ჯოზეფი | ჰოქს | ქორები |
| სეტონ-ჰოლი | პაირატს | მეკობრეები |
| სტენფორდი | კარდინალზ | კარდინალები |
| ტეხასი | მაინერზ | მეშახტეები |
| ჩრდილოეთ კაროლინა | ტარ ჰილზ | კუპრიანი ქუსლები |
| ცინცინატი | ბერთქეთს | პანდები |
| ჯორჯთაუნი | ბულდოგზ | ბულდოგები |
| ჯორჯია ტექ | იელოუ ჯექეთს | ყვითელი ჟაკეტები |
| ჰიუსტონი | კუგარზ | პუმები |

## საქართველოს ჩემპიონატი

ვერის ბაღი. I ჯგუფი

24 ოქტომბერი

**სდასუ — თორსი 92:55**

სდასუ: ეგუტია (8), მუშკუდიანი (14), გიგაური (6), ქევხიშვილი (8), ძიძიგური (8), ნიკოლაძე (6), მერკვილაძე (10), ახობაძე (6), ჩხეიძე (10), დოლიძე (6), გაბრიჩიძე (10)

თორსი: თორთლაძე (12), გონაშვილი, ცაგარეიშვილი (3), ორჯონიკიძე (16), მიქაძე (7), ხარაძე (14), ბოლქვაძე (3)

**ვითა — მერანი 94:37**

ვითა: ვაშაკიძე (20), ბაქრაძე (16), კობეშავიძე (2), ტურაშვილი (4), ბარამიძე (8), შენგელია (4), ქარაბაკი (10), დადიანი (19), ბოისა (11)

მერანი: დ.ბერიშვილი (5), ი.ბერიშვილი (15), ბარბაქაძე (3), ქურასბედიანი, ოქმელაშვილი (2), ჩხიკვაძე, კობიძე (12)

25 ოქტომბერი

**ვითა — თორსი 100:51**

ვითა: ვაშაკიძე (18), ბაქრაძე (2), კობეშავიძე, ტურაშვილი (5), სანაძე (16), ბარამიძე (12), ქარაბაკი (16), დადიანი (23), ბოისა (8)

თორსი: ცაგარეიშვილი, ბოლქვაძე (11), გონაშვილი (3), თორთლაძე (13), ორჯონიკიძე, სვანიძე (3), მიქაძე (7), ხარაძე (8), ლომიძე (6)

**სდასუ — შევარდენი 76:47**

სდასუ: ეგუტია (8), მუშკუდიანი (2), გიგაური (15), ქევხიშვილი (6), ძიძიგური (10), ნიკოლაძე (9), ჭეიშვილი (9), მერკვილაძე, ახობაძე, ჩხეიძე (13), დოლიძე (3), გაბრიჩიძე (1)

შევარდენი: ისაკაძე (8), მაჭავარიანი (14), ფიოდოროვი (4), დავარაშვილი, ინაძე, ქართველიშვილი, მოისწრაფიშვილი (5), ღვინეფაძე (10), თაბუაშვილი (6)

# კუპატაძე და ჩეკურიშვილი – თურქეთში

ქუთაისის „მეობასა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები მაკა კუპატაძე და ლია ჩეკურიშვილი თავიანთ კარიერას თურქეთში, ადანას „ბოთაშსფორში" გააგრძელებენ. საბერძნეთში მოთამაშე მედეა მხეიძის შემდეგ ისინი გახდნენ პირველი ქართველი კალათბურთელი ქალები, ვინც უცხოურ კლუბებთან გააფორმეს კონტრაქტები.

ჩვენი მოთამაშეების გადასვლაზე საუბარი „მეობა" — „ბოთაშსფორის" თბილისური მატჩის შემდეგ დაიწყო. მაშინ თურქული კლუბის პრეზიდენტი ქაია ოზელი დაინტერესდა, საქართველოდან კალათბურთელები კონტრაქტით სხვაგან თუ მიდიან სათამაშოდო. შემდეგ კი „მეობას" მწვრთნელს ნუგზარ ჭეიშვილს კუპატაძისა და ჩეკურიშვილის თავის გუნდში გადაყვანის სურვილი გაუმხილა. თუმცა, მაშინ თურქებმა იმდენად მცირე თანხაზე ჩამოაგდეს სიტყვა, რომ ლაპარაკს აზრი აღარ ჰ ქონდა.

სამაგიეროდ, „მეობას" თურქეთში სტუმრობისას დიალოგი განახლდა. „ბოთაშის" ხელმძღვანელებმა სერიოზული, რადენიმედღიანი მოლაპარაკება გაუმართეს ქართველ კოლეგებს. თურქებმა თავიდან აქაც იწუწუნეს, აქაოდა, ბევრი ფული არა გვაქვსო, მაგრამ ჩვენებმა უკან არაფერზე დაიხიეს და ისეთი გადაწყვეტილება მიაღებინეს, მოთამაშეთა და კლუბის ინტერესებს სრულად რომ იცავდა. „ბოთაშის" წარმომადგენელი ახლახან თბილისში იყო და გოგონებთან კონტრაქტი გააფორმა: კუპატაძე და ჩეკურიშვილი 7 თვის განმავლობაში, მომავალი წლის მაისამდე თურქეთში ითამაშებენ. აღსანიშნავია, რომ „ბოთაში" ორ გუნდს ფლობს — ადანაში და ანტალიაში. რომელი კალათბურთელი რომელ გუნდში ითამაშებს, ეს ამ დღეებში გაირკვევა. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ორივენი ერთად იყვნენ. გარდა ამისა, მაკა და ლია უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, კვებით, ტელეფონით, მოემსახურებათ მანქანა, უფლება ექნებათ რამდენჯერმე ჩაიყვანონ და ასევე კლუბის ანგარიშზე თავისთან აცხოვრონ მშობლები და ახლობლები. „ბოთაში" ვალდებულია, ჩვენი ნაკრებისთვის საჭიროების შემთხვევაში გოგონები თბილისში ჩამოიყვანოს და შემდეგ უკან წაიყვანოს. აგრეთვე, კუპატაძე და ჩეკურიშვილი ადანას უნივერსიტეტში ინგლისური და თურქული ენების 7-თვიან კურსებსაც გაივლიან.



მაკა კუპატაძე (5) და ლია ჩეკურიშვილი (14)

კონტრაქტის მიხედვით, „მეობასა" და ნაკრებს თურქები მაისამდე 3 შეკრებას მოუწყობენ: ორს — ადანაში, ერთს — ანტალიაში. ასევე უზრუნველყოფენ ჩვენი გუნდის სრულ ეკიპირებას და ბურთების პრობლემასაც მოუგვარებენ. პირველ შეკრებაზე საქართველოს ნაკრები 20 ნოემბერს გაემგზავრება ადანაში.

„მეობა" — „ბოთაშსფორის" ორივე მატჩის ვიდეოფირი თურქეთის რამდენიმე კლუბს უნახავს. ისინი დაინტერესდნენ ჩვენი სხვა კალათბურთელებით. კერძოდ, ანკარის გუნდმა გამოთქვა გვანცა ომიაძისა და მაია კუპრაშვილის თავის რიგებში ხილვის სურვილი.

მერაბ რატიშვილი



# გია ჯაფარიძე გამოფენაზე გიწვევთ

ცნობილი მოქანდაკისა და მხატვრის გია ჯაფარიძის ხსენებაზე „სარბიელის" მკითხველებს უმალ სარაგბო სინი და საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის პრიზად დაწესებული ბრინჯაოს მობურთალის ფიგურა წარმოუდგებათ თვალწინ... მაგრამ, რაც ამ დაუღალავ და ნიჭიერ ხელოვანს შეუქმნია სამი ათეული წლის მანძილზე, იმათზე ლაპარაკს ჩვენი გაზეთის ფურცლები არ ეყოფა. 18 ოქტომბერს რუსთაველის გამზირზე „თეთრ გალერეაში" სწორედ გია ჯაფარიძის გამოფენა გაიხსნა. გალერეაში ხელოვანის 220-მდე ნამუშევარია, აქედან 90-მდე ლითონსა და ქვაში ამეტყველებული ქანდაკებაა, დანარჩენი — ფერწერა და გრაფიკა.. ამ კაცის შემოქმედებაში გამორჩეულია ცხენის თემა და აქაც არაერთ ნამუშევარს იხილავთ. ჯაფარიძის ნაქანდაკარი საოცრად პლასტიკური და დახვეწილია, ძალაუნებურად გაიფიქრებ, ამათი შემქმნელი უთუოდ სპორტსმენი იქნებოდა და ალბათ არც ახლაა სპორტზე მწირალადო. გია ჯაფარიძე, რომლის მთელი ცხოვრება სპორტთანაა დაკავშირებული, სულ ბოლო დრომდე გვარიანად ბურთაობდა ვეტერანებში, მაგრამ მერე და მერე წელის გვარიანმა ტკივილმა შეაწუხა და დროებით ჩამოშორდა „ბებერთა რაგბს", მატჩებს კი ხშირად ესწრება. მოკლედ, კვლავაც რაგბით და სპორტით სულდგმულობს „ლოკომოტივის" ყოფილი კაპიტანი. თავად ხელოვანი მადლობას სწირავს თემო გოცაძეს და გალერეის მთელ კოლექტივს, თავის მეუღლეს, ქალბატონ მარინას, ურომლისოდაც ვერასდროს მოახერხებდა გამოფენის მოწყობას და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „გაზეთ „სარბიელს", რომელიც მეც ისევე მიდგას მხარში, როგორც მთელ ქართულ სპორტს".

მოკლედ, თუ განახლებულ რუსთაველზე ჩაივლით, თეთრ გალერეაში შეიარეთ და, დარწმუნებული ვარ, კარგა ხანს მოგიწევთ იქ ყოფნა და ტკბობა, დახარჯულ დროს კი არამცდაარამც არ ჩათვლით ფუჭად...

მამუკა კვარაცხელია



„სარბიელის" პრიზი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური (27-29.X)**

| | | | |
|---|---|---|---|
| **27.X** | | | |
| კიოლნი — მიონხენგლადბახი | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| კარლსრუე — ფრაიბურგი | 1,1 | 3,3 | 7,0 |
| **28.X** | | | |
| ვერდერი — ზტ. პაული | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ბაიერნი — შტუტგარტი | 1,35 | 2,8 | 5,0 |
| ჰამბურგი — კაიზერსლაუტერნი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| ფორტუნა — ლევერკუზენი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| შალკე — დორტმუნდი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| ჰანზა — აინტრახტი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| **29.X** | | | |
| უერდინგენი — მიუნხენი | 1,5 | 2,7 | 4,0 |

**ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური (28-30.X)**

| | | | |
|---|---|---|---|
| **28.X** | | | |
| ასტონ ვილა — ევერტონი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ბლექბერნი — ჩელსი | 1,8 | 2,8 | 2,6 |
| ლიდსი — ქოვენთრი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ლივერპული — მანჩესტერ სიტი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| მანჩესტერ იუნ. — მიდლსბრო | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ქვინზ პარკი — ნოტინგემი | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| შეფილდი — ვესტ ჰემი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| უიმბლდონი — საუთჰემპტონი | 1,5 | 2,9 | 3,6 |
| **29.X** | | | |
| ტოტენჰემი — ნიუკასლი | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| ბოლტონი — არსენალი | 3,8 | 2,8 | 1,5 |

**იტალიის ჩემპიონატი. VIII ტური (29.X)**

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — უდინეზე | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| კალიარი — რომა | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ფიორენტინა — ბარი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ინტერი — მილანი | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| ლაციო — იუვენტუსი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| ნაპოლი — კრემონეზე | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| პადოვა — სამპდორია | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| პარმა — პიაჩენცა | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ტორინო — ვიჩენცა | 1,8 | 2,7 | 2,7 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. X ტური (28-29.X)**

| | | | |
|---|---|---|---|
| **28.X** | | | |
| კომპოსტელა — ბარსელონა | 3,0 | 2,7 | 1,7 |
| სალამანკა — ბეტისი | 3,6 | 2,6 | 1,6 |
| სევილია — დეპორტივო | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| **29.X** | | | |
| ვალენსია — ბილბაო | 1,55 | 2,6 | 3,8 |
| ტენერიფე — ოვიედო | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ალბასეტე — რეალი | 3,6 | 2,6 | 1,6 |
| სოსიედადი — რაიო ვალეკანო | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| რასინგი — სარაგოსა | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ატლეტიკო — მერიდა | 1,15 | 3,0 | 8,0 |
| სპორტინგი — ვალიადოლიდი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ესპანიოლი — სელტა | 1,2 | 3,0 | 6,5 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტური (27.X)**

| | | | |
|---|---|---|---|
| ოსერი — ლილი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| მარტიგი — ბორდო | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| მეცი — პსჟ | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| რენი — ნიცა | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| კანი — მონაკო | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| ლიონი — ბასტია | 1,35 | 2,9 | 4,7 |
| მონპელიე — გენიონი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| სტრასბური — სტ. ეტიენი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ლანსი — გინგამი | 1,35 | 2,8 | 5,0 |
| ლე ავრი — ნანტი | 3,2 | 2,8 | 1,6 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი. X ტური (28.X)**

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — აბერდინი | 1,45 | 2,8 | 4,0 |
| რეის როვერსი — რეინჯერსი | 5,0 | 3,0 | 1,3 |

**ბელგიის ჩემპიონატი. XIV ტური (28-28.X)**

| | | | |
|---|---|---|---|
| **28.X** | | | |
| სტანდარდი — ანდერლეხტი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| ლიერსი — ბრიუგე | 1,8 | 2,6 | 2,8 |

გატანილი გოლების რაოდენობა
გერმანია: 27 და ნაკლები 1,9; 29 და მეტი 1,9
ინგლისი: 26 და ნაკლები 1,9; 28 და მეტი 1,9
იტალია: 22 და ნაკლები 1,9; 24 და მეტი 1,9;
ესპანეთი: 27 და ნაკლები 1,9; 29 და მეტი 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხველთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება. კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | | | | 0-1 | | | | 3-2 | | | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | | | 1-0 | | | | 3-1 | | | 1-0 | | | |
| 3 | FC BARCELONA | | | ■ | 4-1 | | | | | 2-0 | | 4-1 | | | | | | | | | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | | 0-2 | | | | 4-0 | | | | | 1-1 | | | | | |
| 5 | SD COMPOSTELA | | | | | ■ | | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | | | | | | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | | | 4-2 | | | | | 3-1 | | | | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | | | | | 1-0 | ■ | | | | | 2-3 | | | | 2-0 | | | 3-0 | | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | | | | 2-0 | 1-0 | ■ | | | | | | 4-1 | | | | | | | | |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | | | | | | | | ■ | 1-5 | | | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | | | ■ | 2-3 | | | | | | | 2-0 | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | | | | 0-0 | | | | | 2-0 | | ■ | | | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | | | ■ | | | | | 1-1 | | | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | | | | 1-0 | | ■ | 1-2 | | | | 0-2 | | | | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | | | | 2-0 | 2-1 | | | | | | | ■ | | | | | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | | | 0-0 | | | 3-1 | | ■ | | | | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | | | | | | | 0-2 | | | 0-1 | | | ■ | | | | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | | | | | | | | | | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | | | | | 1-1 | 0-0 | 2-2 | | | | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | | | | | | | 4-3 | | | 0-0 | | 1-1 | | | 1-0 | ■ | | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | 0-1 | | | | | | 3-0 | | | | 3-0 | | ■ | | |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | | 0-3 | | | | | | 1-1 | | | 4-0 | 2-2 | | | ■ | |
| 22 | MERIDA | 1-1 | | | | | | | | | | | 3-1 | | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | 1-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | | | | | | |
| 2 | AS BARI | | ■ | 3-0 | | | | 1-0 | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | 1-0 | | | | | | | | | | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | | 3-1 | 3-2 | ■ | | | | | | | | | | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | 1-2 | | 2-1 | ■ | | | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | 2-1 |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | | ■ | | | | 0-0 | | 0-0 | 4-0 | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | | 0-2 | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | 1-3 | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | | | 2-1 | | | ■ | | | | | | 1-0 | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | 3-2 | | | 0-1 | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS-ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | 1-1 | | ■ | 0-0 | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | 2-0 | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | | | | | 2-2 | | ■ | | | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | 1-0 | ■ | 1-1 | |
| 17 | VICENZA | | 2-0 | | | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | 1-1 | 3-1 | | | | | | | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | | | | | | | | | | 1-1 | | 1-1 | | | 4-2 | | 1-0 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | | 1-0 | 0-1 | | | | | | 3-1 | | | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | | 5-1 | | | | | 1-2 | | | | 1-0 | | 2-1 | | | |
| 4 | BOLTON WONDERERS | | | 2-1 | ■ | | | 1-1 | | | | | 1-1 | 1-3 | | 0-1 | | | | | |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | | ■ | 2-2 | 0-0 | | | | 1-4 | | | | | | 3-0 | | | |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | | | | ■ | | | | 2-1 | | | | 1-1 | | 0-1 | | | | |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | | | | | ■ | | | | 2-3 | | 1-3 | | | | 2-0 | 1-1 | | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | | | | | | ■ | 1-0 | | | | | | 1-2 | 2-0 | | | | |
| 9 | FC LIVERPOOL | | | 3-1 | 5-2 | | 0-0 | | | ■ | | | | | | 1-0 | 1-0 | | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | | | | | | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | | | | | | 1-1 | | |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | 3-0 | | | | | 2-2 | 1-0 | ■ | | | | | | | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | | | | | ■ | | | 1-0 | | 0-0 | | | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | | | | | 2-0 | 3-0 | | | | 3-1 | | 1-0 | ■ | | | | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | | | 3-0 | | | | ■ | | | | | 1-1 | |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | | | | | | | | | 1-0 | | | 2-3 | | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | | | | | | | | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | ■ | | 1-3 | | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | | | | | | | | 1-1 | 1-3 | | | | 1-0 | 3-4 | | | ■ | | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | | 0-1 | | | | | | 2-1 | 1-3 | | | | | 0-1 | | | | ■ | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | | 1-1 | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | | | | | | | | | | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | | 3-2 | | | | 2-4 | 1-0 | | | | | | | 2-2 | | | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FORTUNA DUSSELDORF | ■ | | | | 2-2 | | 0-0 | 2-2 | | | 1-1 | | | | | | | 1-0 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 1-1 | ■ | 2-2 | | | | | | 1-1 | 1-0 | | | | | 2-0 | | | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | | ■ | | | | | | 1-1 | | 3-0 | | 2-1 | 3-1 | | | 6-3 | |
| 4 | FC ST. PAULI | | | 0-3 | ■ | | | | | 1-2 | | | | | 0-1 | 4-2 | | 1-3 | |
| 5 | FC HANSA ROSTOCK | | | 3-2 | 2-0 | ■ | | | | | | | 1-2 | 2-3 | | | | 3-3 | |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | | 3-4 | 2-2 | | ■ | | | 3-1 | 2-2 | | | | | 4-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 0-1 | | 0-2 | | 2-0 | ■ | 0-3 | | | | | | | | 1-2 | | |
| 8 | HAMBURGER SV | | 3-3 | | | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | 2-2 | 1-1 | | |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | 2-0 | | | | | | | | ■ | | 1-1 | | 1-3 | 2-3 | | | 1-1 | |
| 10 | KARLSRUHER SC | 3-1 | | | | 0-2 | | | | | ■ | 1-0 | | | 2-6 | | | | 2-0 |
| 11 | 1. FC KÖLN | | | | | | | 1-1 | 3-2 | | | ■ | 2-2 | | | | 0-1 | | 0-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | | | | | | ■ | | | | 0-0 | | |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | | 1-0 | | 2-4 | | 4-1 | 1-0 | | | | | 0-0 | ■ | | | | | |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | | | | | | | 2-0 | 3-2 | | | | 1-0 | 1-2 | ■ | | | | 2-0 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 2-1 | | | | | | | | | 1-1 | 2-1 | | | 0-2 | ■ | | 1-1 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | | | | 1-3 | | | | 1-1 | 2-1 | | | | | 1-1 | ■ | | |
| 17 | VfB STUTTGART | | | | | | 3-2 | 3-1 | | | | | 1-4 | 5-0 | | | | ■ | 0-0 |
| 18 | UERDINGEN | | 3-0 | | | 1-1 | 1-1 | | 1-1 | | | | | | | | 0-1 | | ■ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს პირველობა

დიდი ოთხეული

სამშაბათი, 24.X
ქუთაისი

**აია-პეი 18 (5) — ყოჩები 8 (8)**

მსაჯი ლევან მგელაძე
აია — ვლ: ნ. ძაგნიძე (2), ძოწენიძე; ს: ნ. ძაგნიძე
ყოჩები — ლ: ბარძიმიშვილი; ს: ტეფნაძე

ოთხშაბათი, 25.X
ვაკე. მზიანი დარი
სინის მეხუთე გათამაშება

**გუმარი 14 (3) — თბილისი 16 (13)**

მსაჯი რამაზ ბერაძე (41 +4 1)
გუმარი (მფლობელი): მაჩიტიძე; ბ. იურინი, ჩიქვინიძე, ობოლაძე, ბუგიანიშვილი; ი. ლეჟავა, ძაგანელი (ჯანელიძე, 33); გაგნიძე, მთიულიშვილი ცაბაძე; პარწიკანაშვილი (დიდებულიძე, 52), მჭედლიშვილი; მაგრაქველიძე, ზ. ლეჟავა, კობახიძე. — ლ: ი. ლეჟავა (68); ვს: მაჩიტიძე (26, 65), ი. ლეჟავა (55)
თბილისი (მოცილე): სპ. ლიპარტელიანი (ძნელაძე, 52); ქავთარაშვილი, ალანია, ჩხენკელი, ჩაჩუა; წეველიძე, იოვაძე; მაჭუტაძე, დოლიძე, ირემაძე; ცქიტიშვილი, გულუაშვილი (კჭანტალიანი, 42); დგებუაძე, ჯაფარაშვილი, ლიბრაძე. — 2ლ: ქავთარაშვილი (14, 35); 2ს: ქავთარაშვილი (10), წეველიძე (44)

**სამი წრის შემდეგ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია-პეი | 19 | 15 | 4 | 0 | 437:167 | 50-12 | 34 |
| გუმარი | 19 | 11 | 4 | 4 | 338:234 | 32-18 | 26 |
| თბილისი | 19 | 8 | 2 | 9 | 366:286 | 48-25 | 18 |
| ყოჩები | 19 | 7 | 0 | 12 | 358:415 | 40:47 | 14 |

| ბომბარდირები | | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. ძაგნიძე | აია | 9 | 15 | 23 | 9 | 171 |
| ტეფნაძე | ყოჩები | 3 | 13 | 26 | 3 | 128 |
| ქავთარაშვილი | თბილ. | 12 | 5 | 14 | - | 112 |
| შ. მოდებაძე | გუმარი | 1 | 10 | 15 | 2 | 76 |
| მაჩიტიძე | გუმარი | 1 | 5 | 17 | - | 66 |
| ი. ლეჟავა | გუმარი | 3 | 4 | 11 | - | 56 |
| ჩუბინიძე | აია | 9 | - | 3 | - | 54 |
| ე. ძაგნიძე | აია | 1 | 5 | 11 | 2 | 54 |
| ჯიმშელაძე | აზოტი | - | 7 | 12 | - | 50 |

მელელოვეები: ქავთარაშვილი 12; ჩუბინიძე, ნ. ძაგნიძე 9; ბარძიმიშვილი (ყოჩები) 8; ალანია (თბილისი), ძოწენიძე (აია) 7; იოვაძე (თბილისი), ურუშაძე (ყოჩები), საკანდელიძე (ყოჩები) 6

მეარეკნეები: ნ. ძაგნიძე 9; ტეფნაძე, წეველიძე (თბილისი) 3; ე. ძაგნიძე, შ. მოდებაძე 2

# რა მატჩი იყო, რა მატჩი ...



თამაშ-თამაშ და ჭიდილ-ჭიდილ „გუმარმა" ბოლოსდაბოლოს „თბილისს" ჩაბარა სინი

გია ახალაძის ფოტო

**სინის** იდეა ამართლებს. უმისოდ „გუმარ" — „თბილისის" მორიგ შერკინებას სიმძაფრე უთუოდ მოაკლდებოდა, ვინაიდან ვაკეში „აიას" ბოლო სტუმრობამ ფაქტობრივად ყველას თავ-თავისი ადგილი მიუჩინა დიდი ოთხეულის ცხრილში.

სინის მოგება ერთობ ტიდი საცდური ჩანს. ეს ჯილდო უკვე მეხუთედ გათამაშდა. საზოგადოებაც ყოველთვის კარგი სანახაობის მომსწრე ყოფილა, მაგრამ აქჯერად, მზიან დღეს, საკვირველად ცოტა, 200-250 სულიერის ოდენობით მოგროვდა ვაკეში, რაც სამწუხაროა, ვინაიდან სინის თამაში ათჯერ უკეთესი სეირი გამოდგა, ვიდრე საქართველო — გერმანიის მატჩი, რომელიც, თუ იმ თამაშის შინაარსს გავიხსენებთ, უთუოდ ოდენ პოპულისტურ შოუდ, თუმც აგრერიგად საჭიროდ მოგვეჩვენება.

სინის მფლობელი შეიცვალა, რაც ერთობ სასიამოვნოა. საზოგადოებას იზიდავს ინტრიგა და არც მარადი ჩემპიონები ეხატება გულზე.

სინის ფლობა, ეტყობა, „გუმარსაც" მობეზრებოდა. ამიტომ თუ იყო, ერთობ არეული შემადგენლობით რომ გამოცხადდა სათამაშოდ: 9 ნომერი რომ არავინ აღმოაჩნდა, ამ ადგილას შუამარბი დააყენა, შუამარბობა კი დაეკისრა ფრთის მორკინალ ობოლაძეს, რომელიც მაგრად დგას ფეხზე, მშვენივრადა ჭრის დაცვის ხაზს, გადასარევადაც ბურთაობს, მაგრამ სამმეოთხედელის სიმარდე მაინც აკლია.

„თბილისი", პირიქით, ერთობ დარაზმულიყო. მართალია, მასაც აკლდა კარგი მოთამაშეები, მაგრამ ვინც ითამაშა, ერთ გუნდად შეკრულიყო.

„თბილისმა" მძლავრად დაიწყო. იგი ზელანდიის „ოლ ბლექსივით" სხარტად თამაშობს, ოღონდ, რა თქმა უნდა, საქართველოს კვალობაზე. ვერც გარემარბი აჩიკო ქავთარაშვილია ლომუ, მეტადრე გაბარიტებით, მაგრამ ამ ყმაწვილმა კვლავ გვიჩვენა, თუ რა დიდი ძალაა ნაკრებისათვის.

თავიდან ვეტერანმა ჯაფარაშვილმა იაქტიურა, მერე ქავთარაშვილმა მოედნის შუახაზიდან გაიტანა საჯარიმო, მალე კი მოკლე ფრთაზე ალანიას წამოწყებული რეიდი მანვე ლელოთი დააგვირგვინა 8:0.

აქედან მოყოლებული „გუმარი" ავსტრალიის „ვოლაბებივით" ათამაშდა, ოღონდ, რა თქმა უნდა, ჩვენებური მასშტაბით: დაჯახება, მოლი, დაჯახება, მოლი, მერე ბურთის გათამაშება და ა.შ. როცა „გუმარი" ამას უწყვეტად ახერხებდა, საამოსაცქერი და ერთობ სახიფათოც იყო, მაგრამ ისიც ჩანდა, რომ ასეთი თამაშისათვის გუნდს ფიზიკური კონდიცია შესაფერი ვერა აქვს.

„გუმარის" აბურთავებას დიდად შეეწია „თბილისის" [illegible] შუამარბ[illegible] ხიძე, ობოლაძე, ჩიქვინიძე და ჯანელიძე გადი[illegible] „თბილისის" [illegible]ბაში, მაგრამ [illegible], ზოგჯერ კი იღბალიც ღალატობდათ.

პირველი ნახევრის ბოლოსთვის „გუმარის" ნახევარდაცვაში ჯანელიძე და მაჩიტიძე მოგვევლინენ; გუნდის თამაშიც აეწყო, მაგრამ სწორედ ამ დროს თბილისელმა ჩხენკელმა გაახერხა გარღვევა, რომელსაც სამი პასის შემდეგ ქავთარაშვილის მეორე ლელოთი დასრულდა 13:3.

„თბილისმა" შესვენების შემდეგაც მშვენივრად გამოიყენა თავისი შანსები, „გუმარმა" კი, თუმც ბევრი სალელოე მომენტი შექმნა, ისინი თამაშ-თამაშ და ჭიდილ-ჭიდილ დაფლანგა, რაშიც, რა თქმა უნდა, „თბილისის" შემართებამაც დაიდო წილი. და მაინც, მეორე ნახევრის შუაწელში ზემოთხსენებული მოთარეშე ოთხეულისა და მცველად გადაყვანილი ი. ლეჟავას გამოისობით „გუმარი" თანდათან წამოეწია მეტოქეს 14:16, მერე კი მოედნის ნაპირიდან ლელო ვერ გარდასახა.

კრიტიკულ მომენტში „თბილისმა" ისევ იძალა. მორკინალებმა მეტოქეს უკან რამდენჯერმე დაახევინეს, წეველიძემ გამოზომილი დარტყმები შეასრულა, რითაც მეტოქე მთლად დააბნია — თამაშის დამთავრებას წუთები აკლდა, „გუმარი" კი თავისი ნახევრიდან ათამაშებდა საჯარიმოებს, ბურთს მორკინალებს აჩეჩებდა და ასე მიამიტურად, ხელ-და-ხელ და არა ფეხ-და-ფეხ ცდილობდა მეტოქის ნახევარზე გადასვლას. „თბილისმა" მეტოქეს ეს არ დაანება და „სინიც" გახარებულმა ჩაიბარა.

**წინადღით** „ყოჩები" ეწვივნენ „აიას" და, როგორც სჩვევიათ, თავიდან გვარიანადაც დაწინაურდნენ 8:0. მერე და მერე „აიამ" მაინც თავისი გაიტანა. სტუმრები რამდენჯერმე „გაუცუცურაკებია" ნუგზარ ძაგნიძეს, ამ დღეს 10 ნომრად რომ თამაშობდა, მისი ძმა ემზარი კი მატჩში არ მონაწილეობდა. ერთი სიტყვით, ბოლო თამაშებია, ძმები რიგ-რიგობით დგებიან „აიას" 10 ნომრად და კლუბს ქულების ლომის წილსაც უხვეჭენ.

# ვაჰ, დრონი, დრონი...



ჩვენი ვეტერანი მორაგბეები ერთობ ჯიგრიანი ხალხია. ძმობა ხომ სულ გადასარევი იციან. შვილებიც სულ რაგბში ჰყავთ ჩაბმული. დიდ მატჩებსაც არ აკლდებიან, ნაკლი კი მხოლოდ ის თუ აქვთ, რომ რაკი მკლავისა და მუხლის ძალა ველარ მოსდევთ, კვირადილაობით კაცური რაგბის ნაცვლად პიეონურ მინი-ფეხბურთს ეტანებიან, თითქოს არ არსებობდეს „თაჩ-რაგბი" ანაც „ნიუ-იმიჯ რაგბი".

წელიწადში ერთი-ორჯერ ქართველი ბებერი ხარები ძველ ზნეს იხსენებენ ხოლმე და ოვალური ბურთითაც ებმიან ერთმანეთს. თბილისობის კვირაძალი საამისოდ შესაფერი დროა. ამიტომაა, რომ

**დღეს,**
**დღის სამ საათზე,**
**ვაკის სტადიონზე**

დიდი სეირი ეწყობა: **„ლოკომოტივის"** ვეტერანები ძველ მოსისხლეებსა და დოსტებს — **„დინამოს"** ვეტერანებს მასპინძლობენ.

მატჩის ორგანიზატორი, რა თქმა უნდა, ვეტერან მორაგბეთა ფედერაციაა. მას კარგა ხანია პატრონობსა და თავკაცობს **თენგიზ რუხაძე**, რომელიც წლევანდელ ივლისამდე პარალელურად ქვეყნის რაგბის კავშირსაც უნარიანად უძღვებოდა, მაგრამ მერე და მერე ახალგაზრდა ძალებს დაუთმო ადმინისტრაციული ასპარეზი და თავის კბილა ბიჭების წრეს მიუბრუნდა.

სულ ახლახან ბატონმა თენგიზმა ვეტერანთა საძმოს მდივნად მიიწვია ცნობილი მწვრთნელი, მსაჯი და მოთამაშე **ლევან მგელაძე**, რომელსაც ასაკიც — 36 წელი ხელს უწყობს სავეტერანოდ. ბატონი ლევანი აქამდეც ცნობილი იყო საორგანიზაციო ნიჭით. შარშან სწორედ მისი ძალისხმევით გაიმართა განსვენებულ მორაგბეთა ხსოვნის ტურნირი და საგანგებო თასიც დამზადდა. დღეს ამ თასს „დინამო" და „ლოკომოტივი" სიმბოლურად გაითამაშებენ, ვინაიდან ძველი მეგობრების ბურთაობაში დამარცხებული არავინ იქნება.

ასეთი შემთხვევისათვის უპრიანი გვგონია ძველი ანგარიშების მოტანა — ბებერი მორაგბეები ხომ ერთობ ენაწყლიანი ხალხია და გარდასულ დღეთა ამბების გახსენებაც ერთობ უყვართ, ოღონდ ჰიპერბოლურად — ანგარიშებს გაათმაგებენ, მოვლენათა ქრონოლოგიას არაძ დაგიდევენ, ვერც გუნდების შემადგენლობებს იხსენებენ ხეირიანად. ჩვენეული სტატისტიკა საქეიფოდ შეკრებილებს სადაო მასალას ბლომად გაუჩენს. იგივე მონაცემები უთუოდ დააინტერესებთ იმ ძველ ქომაგებს, ვისთვისაც „დინამო" — „ლოკომოტივის" თამაშები ამერ — იმერის მეტოქეობის ხანის დადგომამდე უპირველესი საშინაო მოვლენა ყოფილა.

ქვემორე სტატისტიკა ძველ „ლელოებში" მოვიძიეთ, რისთვისაც დიდად ვემადლიერებით ქართულ რაგბზე პირველ მწერალს, ბატონ **ოთარ გელაშვილს**. რომ არა მისი მონადინება და რაგბის წარმოსაჩინებლად ღვწა, ქართული რაგბის მატიანეში თეთრი ლაქა ბევრად მეტი გვექნებოდა.

დაწვრილებით მოსატანი თამაშები ჩვენი შეხედულებისამებრ ამოვირჩიეთ. თუ რატომ, ძველები თავადაც მიგვიხვდებიან. განსვენებულებს ჩამონათვალში ვარსკვლავები დავუსვით.

**ზაზა კირკიტაძე**

**დინამო — ლოკომოტივი**

| | თარიღი | სტადიონი | შეჯიბრება | ანგარიში |
|---|---|---|---|---|
| კვი | 13.12.64 | ისანი | კონსტიტუციის თასი | 16: 0 |
| სამ | 12.04.66 | დინამოს სათ. | საქალაქო | 3: 0 |
| შაბ | 30.04.66 | დინამოს სათ. | საქალაქო | 25: 0 |
| სამ | 27.09.66 | სამტრედია | საკავშირო | 3: 3 |
| პარ | 28.10.66 | დინამო | საკავშირო | 15:11 |
| შაბ | 25.11.67 | ასკ | რესპუბლიკური | 6: 0 |
| კვი | 5.05.68 | ლოკომოტივის სათ. | რესპუბლიკური | 3: 3 |
| ხუთ | 6.06.68 | ლოკომოტივი | რესპუბლიკური | 6: 8 |
| | .05.70 | ლოკომოტივი | რესპუბლიკური | 0: 0 |
| ხუთ | 21.05.70 | ლოკომოტივი | რესპუბლიკური | 9: 6 |
| | .05.71 | ლოკომოტივი | საქალაქო | 11: 8 |
| | .06.71 | ისანი | რესპუბლიკური | 12: 3 |
| ხუთ | 23.09.71 | ქუთაისის დინამო | საკავშირო | 8: 9 |
| სამ | 9.05.72 | შრომ. რეზერვები | რესპუბლიკური | 9:13 |
| | .12.72 | ისანი | საქალაქო | 9:21 |
| კვი | 29.07.73 | ლოკომოტივი | საკავშირო | 6:10 |
| კვი | 14.10.73 | ლოკომოტივი | საკავშირო | 9: 9 |
| კვი | 4.11.73 | ლოკომოტივის სათ. | რესპუბლიკური | 3: 3 |
| კვი | 2.12.73 | ლოკომოტივი | რესპუბლიკური | 14: 4 |

სულ 19 თამაში: დინამო — 9 მოგება, ლოკომოტივი — 5, ფრე — 5

**1966**

**დინამო 15 (9) — ლოკომოტივი 11 (8)**

მსაჯი ალფ. გრუმბინასი
დინამო: კეშელავა; ლობჟანიძე, ლვინიაშვილი, აროიანცი, კვინიხიძე; კიზირია, კოდუა; პეტრიაშვილი, აკოფოვი, თოფურიძე; კეთილაძე, ენდელაძე *; ლადუა, ოსეფაიშვილი *, ზ. მგელაძე. — 4ს: კიზირია (2), კვინიხიძე (2); ა: კიზირია
ლოკომოტივი: თენ. რუხაძე; ჩუბინიშვილი, ჯაფარიძე, ოქრუაშვილი, გეგეშიძე; მიქაბერიძე, რაფავა *; ფეტვიაშვილი, მ. ბენიაშვილი, კირტავა; დავითაია *, ფაჯიშვილი; სვანიძე, ყიფიანი, შ. ბენიაშვილი. — ვლ: რუხაძე (2), დავითაია; გ: ჩუბინიშვილი

**1971**

**ლოკომოტივი 9 (0) — დინამო 8 (3)**

მსაჯი გორიანოვი
ლოკომოტივი: კაპანაძე; კორნევი *, ჯაფარიძე, გეგეშიძე, მიქაბერიძე; ფურცელაძე (თენ. რუხაძე), ზ. ხარშილაძე; ფეტვიაშვილი, მოდებაძე, აინურაძე; სანებლიძე, კემულარია; ირ. ნაცვლიშვილი, თემ. რუხაძე, ბენდიაშვილი. — ლ: თენ. რუხაძე; 2ს: ფურცელაძე, თენ. რუხაძე
დინამო: ხაჭაპურიძე; კეშელავა, ლვინიაშვილი, ზამიჩკინი, ვლ. აბაშიძე; კიზირია, იუ. ნაცვლიშვილი (გ. აბაშიძე); ძამაშვილი (ზ. მგელაძე), აკოფოვი, ალბ. ნაცვლიშვილი *; რეხვიაშვილი, რამიშვილი; თოფურიძე, ცუხიშვილი, ბუგიანიშვილი. — ლ: ვლ. აბაშიძე; გ და ა: კიზირია

**1968**

**ლოკომოტივი 8 (0) — დინამო 6 (3)**

მსაჯი გ. ფორმინი
ლოკომოტივი: კაპანაძე; ინაური, თენ. რუხაძე, ზ. ხარშილაძე, გეგეშიძე; კვინიხიძე, მიქაბერიძე (თემ. რუხაძე); ფეტვიაშვილი, მ. ბენიაშვილი, კირტავა; ფაჯიშვილი, დავითაია *; რაფავა *, კორნევი *, ზ. მგელაძე. — 2ლ: მგელაძე, გეგეშიძე; გ: კვინიხიძე
დინამო: კეშელავა; ზამიჩკინი, იობიძე, შარაშენიძე, ლვინიაშვილი; კოდუა, კიზირია; ჩიკვაიძე, აკოფოვი, გუდიაშვილი; კეთილაძე, რეხვიაშვილი; თოფურიძე, ლადუა, ენდელაძე *. — 2ს: კიზირია

**1973**

**ლოკომოტივი 9 (9) — დინამო 9 (6)**

მსაჯი ლ. დანილოვი
ლოკომოტივი: გიორგაძე *; სალთხუციშვილი, თენ. რუხაძე, ჯაფარიძე, ულენტი (კაპანაძე); კილასონია, ზ. ხარშილაძე; ცხვედიანი, მოდებაძე, ფეტვიაშვილი; ლიბრაძე, კაველაშვილი (სანებლიძე); ჩუბინიშვილი, თემ. რუხაძე, ბენდიაშვილი. — ლ: ჩუბინიშვილი; გ და ს: კილასონია
დინამო: ანდღულაძე; ვლ. აბაშიძე, თოფურია, თ. მგელაძე, ეკალაძე; კიზირია, მენაბდე (იუ. ნაცვლიშვილი); თუშიშვილი, რამიშვილი, მამულაშვილი; რეხვიაშვილი, დავითაია *; კუჭავა, შარაშენიძე, ბუგიანიშვილი. — 3ს: კიზირია

## აქეთური, იქითური

ჩინეთი საერთაშორისო ველოსპორტში თავის ადგილს ეძებს. იქ მოეწყობა 350-კილომეტრიანი შვიდეტაპა ტური. სტარტი ჰონკონგში გაიმართება, ფინიში — პეკინში. მრბოლელების ქარავანს ყოველდღიურად 2000 პოლიციელი გააცილებს. რაკილა შეჯიბრი სეზონის ბოლოს დაემთხვა, ინდურაინმა, რომინგერმა და ჟალაბერმა მონაწილეობა იუარეს. სამაგიეროდ, იბრძოლებენ ეკიმოვი, ამდუჯაფაროვი და ბუნიო.

*

„ორლანდო მეჯიქის“ ცენტრ შაკილ ონილს მარჯვენა ხელის ცერიდან ძვლის ნამსხვრევი უნდა ამოაცალონ, რის გამოც 6-8 კვირა ვერ ითამაშებს.

*

„კატალონიის“ ავტორალს იგებდა შოტლანდიელი კოლინ მაკრეის ეკიპაჟი, მაგრამ გუნდის — „სუბარუს“ უფროსობის მითითების თანახმად მაკრეიმ სულ ბოლოს ერთწუთიანი ჯარიმა აიკიდა, რისი წყალობითაც გაიმარჯვა შოტლანდიელის ესპანელმა თანაგუნდელმა კარლოს საინსმა.

*

29 წლის ესპანელ მეგოლფე ხოსე-მარია ოლასაბალს ტერფის მეორე ოპერაციაც მოელის, რის გამოც კიდევ ნახევარი წელი გაუცდება. არტრიტმა „იუ-ეს მასტერსის“ 1994 წლის გამარჯვებული გამოაკლო ბოლო „რაიდერის თასს“, რომელშიც ევროპამ სტუმრად დაამარცხა აშშ.

*

ბრიტანეთში ლიგის (რაგბის) საიუბილეო მსოფლიო თასის პარალელურად ლიგის რჯულზე ახლადმიქცეული ქვეყნებისათვისაც გათამაშდა საგანგებო ჯილდო. ფინალში ქუქის კუნძულებმა 22:6 დაამარცხეს ირლანდია. ამასთან, ყველა გააოცეს სასწაული მადით: ფინალისწინა საუზმეზე ზღვისრეთელებმა 25 შემწვარი ქათამი, დიდძალი პასტა (იტალიური საჭმელი) და ჩინური კერძებიც მიირთვეს, რომლებსაც თურმე იმად ეტანებიან, რომ ცილები და ნახშირწყლები მათში ოპტიმალური შეფარდებითაა.

*

დიდი კეტბურთი 1954 წლის შემდეგ პირველად ეწვია კლივლენდს. იმ წელს იქაურმა „ინდიელებმა“ რეგულარულ სეზონში 111 მატჩი მოიგეს, მაგრამ „მსოფლიო სერია“ 0-4 წააგეს ნიუ-იორკის „გოლიათებთან“. წელს კლივლენდელებს 100 მოგება ჰქონდათ, მაგრამ „სერიის“ ორივე სასტარტო მატჩი სტუმრად წააგეს ატლანტის „მამაცებთან“. სამშაბათს „ინდიელებმა“ დამატებითს, XI შესვლაში 7:6 დაამარცხეს „მამაცები“ და სხვაობა შეამცირეს 1-2, მაგრამ ოთხშაბათს ბოლო, IX შესვლას რომ იწყებდნენ, 1:5 აგებდნენ.

*

ბობოლა შვედი ჰოკეისტები გაფიცულან: თავიანთ დიდმოხელეებსა სთხოვენ, ნაკრებში თამაშისას დღიური სარგო გაგვიორმაგეთ, ხოლო თუ გაისად, ვენაში მსოფლიო პირველობას მოვიგებთ, თითოს პრემიად 30 ათასი დოლარი გაგვიმზადეთო.

*

პლაჟის ფრენბურთში, რომლის ოლიმპიური დებიუტი ატლანტაში გაიმართება, აღირიცხა პირველი დოპინგ-დარღვევა: ფსევდოეფედრინის ხმარება დაუდგინეს ამერიკელ ვაუთა მავან წყვილს, მაგრამ იმის გამო, რომ „ბალი-ბულის“ ფედერაცია საზოგადო ანტი-სადოპინგო კოდექსთან მწყრალადაა, ცთომილნი დაუსჯელნი დარჩნენ.

*

პაკისტანმა სქვოშის მსოფლიო ფედერაციაში იჩივლა, კაიროს მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე ავსტრალია რადაა ჩვენზე უწინარეს განთესილი, თუკი ჩემპიონები ჩვენა ვართო. ფედერაციამ სარჩელი უარყო, მსოფლიოს 6-გზის ჩემპიონი ჯაჰანგირ ხანის დიდ სქვოშთან გამოთხოვებით დიდი ძალა გამოგაკლდათო.

*

პაკისტანის კრიკეტის მამებმა გაამართლეს და ნაკრებშიც დააბრუნეს ექს-კაპიტანი სალიმ მალიქი, ვისაც 1994 წლის სექტემბერში ყარაჩის ტესტის წინ ორი ავსტრალიელი მომწოდებლის მოსყიდვის მცდელობა ბრალდებოდა. პაკისტანის გუნდი სატურნეოდ უკვე ავსტრალიაშია, სადაც პრესამ ისტერია გააჩაღა, კორუმპირებულ მოთამაშეს რადა ვგუობთო. არადა, ავსტრალიელებმა ის ორი მომწოდებელი აზიელთა ხარჯითაც კი არ მიავლინეს პაკისტანს, სადაც ისინი სალიმისთვის უნდა დაეპირისპირებინათ.

## კრივი



ფრენკ ვორენი, ოლივერ მაქქოლი და დონ კინგი

# კვდებიან, დაობენ, თავს ანებებენ და ბრუნდებიან

კვირანახევრის წინ ტვინტრავმირებული ჯეიმზ მარის დაღუპვამ ბრიტანული საზოგადოებრივი აზრი კრივის ასაკრძალად ხელახლა განაწყო. სხვათა შორის, მუშტებით პროფესიულ ბრძოლას მსგავსი ყადაღა სკანდინავიაში 1968 წლიდან ადევს, მაგრამ იქაურები უცხოეთში მაინც კრივობენ, თუმც შინ არათუ ასპარეზობა, ვარჯიშიც კი ეკრძალებათ.

პარლამენტის თემთა პალატამ მოისმინა სპორტის მინისტრის მოხსენება. მინისტრს მოუკვლევია ბრიტანულ სპორტში ბოლო ხუთი წლის მანძილზე დაღუპულთა სტატისტიკა, რომელიც აშკარად კრივის სასარგებლოდ მეტყველებს. თურმე ნუ იტყვით, ამ პერიოდში დაღუპულა 72 ავტომრბოლი, 59 მთამსვლელი, 29 მხედარი და ოდენ სამი მოკრივე.

წაიმუშავა ბრიტანეთის პროფესიული კრივის მმართველმა საბჭომაც. უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის ექიმებთან წელიწადნახევრიანი კონსულტაციების შემდეგ კრივის დიდმოხელეებმა შეიმუშავეს 12-პუნქტიანი დოკუმენტი, რომელიც ჭეშმარიტად საყურადღებო სიახლეებს შეიცავს.

ამიერიდან რეფერის ევალება, ყოველ საჭოჭმანო შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეწყვიტოს შერკინება და ნაცემი მოკრივე ექიმს გაასინჯოს. ექიმსაც ენიჭება უფლება, რინგთან მიიჭრას და რეფერის ჩხუბი შეაწყვეტინოს.

გადიდდა დანოკაუტებულთა დისკვალიფიკაციის ვადაც. თუ იგი აქამდე 28 დღე იყო, ამიერიდან 45-ია. ეს ეხებათ როგორც შერკინებისას, ასევე სპარინგის დროს დაცემულებს.

მთავარი მაინც მოკრივეთა მუდმივი მეთვალყურეობაა. ბრიტანელები კრივის ლიცენზიის მქონე 700-ვე პროფესიონალს ისედაც უწყობდნენ ყოველწლიურად თავის ტვინის სკანირებას, რაც საკმაოდ ძვირი უჯდებოდათ. ამიერიდან გასინჯვები გახშირდება, თანაც ჩატარდება ულტრათანამედროვე „ემ-არ-აი“ მეთოდით, რომლის მეშვეობითაც ტვინის გადაგვარების ბევრად ადრეული დიაგნოსტიკაა შესაძლებელი. ცნობილმა მენეჯერმა ფრენკ ვორენმა საამისოდ დააარსა „მარი-სთოუნის“ ფონდი: ბრედლი სთოუნსაც ჯეიმზ მარის ხვედრი გაუზიარებია.

რაკი თითო „ემ-არ-აი“ სკანირება 500 გირვანქა ჯდება, ვორენი კაცურად მოქცეულა და პროგრამის ხორცშესხმისათვის პირველი წლის მანძილზე საჭირო თანხა თავისი ჯიბიდან დაუდია, თანაც იმედი ჰქონია, ქველმოქმედებაში სხვა მოღვაწეებიც ამიბამენ მხარსო.

ტვინის ხშირ-ხშირი გამოკვლევის გარდა მსუბუქი და საშუალო წონების მოკრივეებს დაუწესებენ წონის მუდმივ კონტროლს: ექიმები მოკრივეს შეუდგენენ გრაფიკს, რომლის მიხედვითაც მან შერკინებისათვის მზადების პერიოდში უნდა დაიგდოს წონა. ეს იმად, რომ წონის დასაკლებად მოკრივეები ხმარობენ შარდმდენ პრეპარატებს, რომლებიც ტვინს ისე კუმშავენ, რომ იგი ძლიერ დარტყმებს ვერ უძლებს და ზიანდება.

**ფრენკ ვორენს** უსაფრთხოების გარდა სხვა საზრუნავიც მრავლად გასჩენია. საქმე ისაა, რომ იგი პატრონობს კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბკ) ახალ მძიმეწონოსან ჩემპიონს, მთელი ბრიტანეთის კერპ ფრენკ ბრუნოს.

მას შემდეგ, რაც ოლივერ მაქქოლის ძლევით ბრუნო ჩემპიონი შეიქნა, ვბკ-მა გამოქვეყნა პრეტენდენტების სია, რომელშიც პირველ ნომრად ციხიდან გამოშვებული მაიკ ტაისონი წერია. მენეჯერთა მენეჯერი, ოფოფისთავა დონ კინგიც იმას ჩალიჩობს, საჩემპიონო შეჯიბრებაში ბრუნოს ტაისონი რომ შეაჯიბროს, რისთვისაც საარაკო თანხასაც შოულობს.

ამას ვერ ეგუება ბრიტანელი ექს-ჩემპიონი ლენოქს ლუისი, რომელიც შარშან მაქქოლმა გალახა. საქმე ისაა, რომ თავის დროზე ვბკ-ს გამოუცია დადგენილება, რომლის თანახმადაც მაქქოლს ლუის — ლაიონელ ბათლერის შესარჩევ შერკინებაში გამარჯვებულის ხელყოფისაგან უნდა დაეცვა ჩემპიონის სარტყელი. რაკი მაქქოლი ისე შეერკინა ბრუნოს, რომ ვბკ-ს ეს მისთვის სულაც არ დაუძალებია, ლენოქსის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ მაქქოლის მძლეველმა ბრუნომ უნდა გადაიბაროს ჩემპიონის ვალდებულება და ბათლერის გამლახველ ლუისს შეერკინოს უწინარეს ტაისონისა. ლუისი თურმე სასამართლოში აპირებს ჩივილს, აქაო და კანონი დონ კინგზე უზენაესიაო, ვორენი კი ასევე სასამართლოთი იმუქრება, დადგენილებაცა ლასიაც ვბკ-ის გამოცემულია და უფრო გვიანდელს მეტი ძალა აქვსო. ერთი სიტყვით, ვბკ-ში დიდი დომხალია. სამაგიეროდ, მის მექსიკელ პრეზიდენტ ხოსე სულეიმანს ამ ათი დღის წინ დიდი ზარ-ზეიმით გადაუხადეს ზეობის 20 წლის იუბილე.

მარის სიკვდილმა კრივზე საბოლოოდ აუცრუა გული კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (ვბო) ზესაშუალოწონოსან ექს-ჩემპიონს, 29 წლის **ქრის იუბენქს**, ვინაც ირლანდიელ სთივ ქოლინზს მატჩ-რევანში ვერ მოუგო. იუბენქმა რინგზე ზუსტად ათი წელი გაატარა და არც ოდესმე დაუმალავს, რომ ოდენ იმისთვის კრივობდა, ოჯახის სარჩენი ფული რომ ეშოვა. ახლა „Simply the best“-ად („უბრალოდ საუკეთესოდ“) ცნობილი მოკრივე ეკონომიურად ისე მომძლავრებულა, რომ თურმე ბიზნესსა და ჟურნალისტიკაში აპირებს ბედის ცდას.

იუბენქისგან განსხვავებით 45 წლის ბაბუა **ჯო ბაგნერი** რინგს დაუბრუნდა და ამ ერთი თვის წინ კიდეც გახდა ჩემპიონი ავსტრალიისა, სადაც ამჟამად სახლობს. ექს-ბრიტანელმა 12-რაუნდიან შერკინებაში ქულებით აჯობა ვინს სერვის.

ბაგნერი კრივს ამ რვა წლის წინ შეეშვა. მაშინ იგი ფრენკ ბრუნომ გალახა. პროფესიულ რინგზე 13-ჯერ დამარცხებულა, მაგრამ 76-ჯერაც გაუმარჯვნია, მათ შორის 43-ჯერ — ნოკაუტით. ბაგნერი ორჯერ — 1973 და 1975 წლებში შებმია მუჰამედ ალის, ერთხელაც ჯო ფრეზერს, მაგრამ დანოკაუტებული არავის უნახავს. 1977 წელს უნდა შერკინებოდა ჯორჯ ფორმენს, მაგრამ პოლიტიკანებმა ბრძოლა ჩაუშალეს. ავსტრალიის ჩემპიონობის მოპოვებისთანავე ბაგნერი შეხმიანებია ცნობილ იმპრესარიო ბობ არამს და უთხოვნია, იქნებ „ბებერ ჯორჯთან“ შეხვედრა გამიხერხოო.

ვალერი ჯიქია

## უცხო ხილი

ფენჯაბური თამაშობა კაბადი (სხვაგვარად „ზაბარგაგან“), რომლის შეჯიბრში შარშანდელ აზიის თამაშებში რვა ქვეყანა ჩაება და რომელიც გაკეთილშობილებული ჩვენებური „დაჭერობანაა“, ფეხს იკიდებს ბრიტანეთშიც, სადაც ბოლო დროს ერთობ მომრავლდნენ აზიელები. ბრიტანეთის ჩემპიონი გლაზგოს გუნდი გამხდარა, მავან სატირულ ჟურნალს კი კაბადისადმი მიძღვნილი სტატია ასე დაუსათაურებია: CRAZY GAME WITH CRAZY NAME, ე.ი. გიჟურსახელა გიჟური თამაში.






## XVI ეტაპი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

29 ოქტომბერი
იაპონიის გრან-პრი
ავტოდრომი სუძუკა
წრის სიგრძე 5864 მ. 53 წრე — 310,8 კმ
სიჩქარის რეკორდი წრეზე — 209,5 კმ-სთ (ნაიჯელ მენსელი, „უილიამსი“, 1992)



ბოლო ხუთი რბოლის პრიზიორები:
1994 დეიმონ ჰილი („უილიამსი“), მიხაელ შუმახერი, ჟან ალეზი.
1993 აირტონ სენა („მაკლარენი“), ალენ პროსტი, მიკა ჰაკინენი.
1992 რიკარდო პატრეზე („უილიამსი“), გერჰარდ ბერგერი, მარტინ ბრანდლი.
1991 ბერგერი („მაკლარენი“), სენა, პატრეზე.
1990 ნელსონ პიკე („ბენეტონი“), რობერტო მორენო, აგური სუძუკი.

ამომავალი მზის ქვეყნის დიდი პრიზი პირველად 1976 წელს გათამაშდა ფუძიამას მთის სახელობის ავტოდრომზე. პრემიერა ამერიკელი მარიო ანდრეტის „ლოტუსის“ ტრიუმფით დასრულდა. მომდევნო წელს ინგლისელმა ჯეიმს ჰანტმა იმარჯვა. ამას მოყვა ათწლიანი პაუზა და იაპონიის გრან-პრიც 1987 წლიდან განახლდა. ის რბოლა ავსტრიელმა გერჰარდ ბერგერმა („ფერარი“) მოიგო. მან და ბრაზილიელმა აირტონ სენამ „სუძუკაზე“ ორ-ორჯერ გაიმარჯვეს. საინტერესოა, რომ იქ ყოველ წელს იცვლებიან გამარჯვებულები. ვნახოთ, შესძლებს თუ არა დეიმონ ჰილი ზეგ ამ ტრადიციის დარღვევას.

„სუძუკას“ საშუალო სიჩქარიანი წრე საკმაოდ დახლართული და საინტერესოა. იქ ორი ჩქაროსნული მონაკვეთია და ორიც ისეთი მკვეთრი მოსახვევი, რომელთა გავლა კუს ნაბიჯებით, მხოლოდ პირველი სიჩქარით ხერხდება.

შარშანდელი რბოლისას იაპონიას მორიგი ტაიფუნი დაატყდა თავს. თითქმის მთელი გზის გავლა პილოტებს კოკისპირულ წვიმაში მოუხდათ. ავდრის გამო ისე ჩამობნელებულიყო, რომ ტრასა პროჟექტორებით გაანათეს. თავსხმაში რამდენიმე ავარია მოხდა, ერთხელაც გზის პირას მდგარ მსაჯს, გვარად მარშატს, დაეჯახნენ. ყოველივე ამის გამო რბოლა ორჯერ შეწყდა, თუმცა როგორღაც მაინც ჩამთავრდა. ეს კია, სტარტზე გამოსული 26 მანქანიდან ფინიშამდე მხოლოდ ნახევარმა მიაღწია.

22. X. წყნარი ოკეანის დიდი პრიზი
1. მიხაელ შუმახერი (ბენეტონი); 2. დევიდ კულტჰარდი (უილიამსი); 3. დეიმონ ჰილი (უილიამსი); 4. გერჰარდ ბერგერი (ფერარი); 5. ჟან ალეზი (ფერარი); 6. ჯონი ჰერბერტი (ბენეტონი)
დასკვნითი ორი ეტაპის წინ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: შუმახერი — 92 ქულა, ჰილი — 59, კულტჰარდი — 49, ალეზი — 42, ჰერბერტი — 41, ბერგერი — 31...
კონსტრუქტორთა თასი: ბენეტონი — 123, უილიამსი — 102, ფერარი — 73, მაკლარენი — 21, ჯორდანი და ზაუბერი — 18-18, ლიჟიე — 16, ტირელი — 2, ეროუზი — 1

## აგდა-უგდა



**სამხრეთი აფრიკის** რაგბის ნაკრების კაპიტან ფრანსუა პინარს ტვინი რამდენჯერმე შეერყა. ამით თუ აიხსნება მისი „დალაგებული“ პასუხი, როცა მავანმა ჟურნალისტმა ჰკითხა, თქვენი აზრით, ძირითადად რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ნაკრების ყოფილი მწვრთნელის იენ მაკინტოშისა და ახლანდელი მწვრთნელის ქიჩ ქრისთის სამწვრთნელო სტილებიო.

პინარმა ჟურნალისტს ასე მიუგო: „მათი სტილები განსხვავებულია. „მაკი“ დიდებულად ერკვევა რაგბში, გადასარევადაც — ისევე, როგორც ქიჩი. ჩემთვის ძნელია მათი შედარება, რაკი ორივე მომწონს. ჩემი აზრით, „მაკი“ კარგი მწვრთნელი იყო, ქიჩიც მუდამ კარგ მწვრთნელად მიმაჩნდა, მაგრამ უთუოდ იმის გამოც, რომ ქიჩის ხელში ტრანსვაალის კაპიტანი ვყოფილვარ. ერთი სიტყვით, „მაკიცა“ და ქიჩიც დიდებულად ერკვევიან რაგბში, თუმც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ძალიანაც განსხვავდებიან!“

**რაგბის** საერთაშორისო საბჭომ (ირბ) თავისს ყველა წევრ ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც, დაუგზავნა ფაქსი, რომლითაც აუწყებს, რომ ჩრდ. ქვინზლენდის (ავსტრალია) მიყრუებულ ქალაქ მაუნთ-აიზას კლუბ „ქიზის“ მოთამაშე სთივენ ქოული უგვანო საქციელისთვის დისკვალიფიცრებულია ათი (10) წლით. რაკილა სასჯელი მთელს მსოფლიოში მოქმედებს, ირბ ყველა რაგბის კავშირს მოუწოდებს, ასი თვალი და ყური გამოისხას, რათა ზემოთხსენებული მორაგბე უარით გაისტუმროს, თუკი იგი 2005 წლამდე მის ქვეყანაში ჩავა და თამაშს ისურვებს.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29